# ცისკარი.

**1864**

აპრილი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


I — მეფის ირაკლის დრო. ტრაღედია ოთხ მოქმედებათ. . . , თ. ალ. გახტ, ორბელიანისა.

II — 1, გაზაფხული (ლექსი) . თ. ალ. გახ. ორბელიანისა.

2, წინათ გრძნობა. (ლექსი.) ლ. ხ. სამცხელისა.

3, განდეგილი, (ლექსი.) თ. მიხ. ფავლენოვისა.

III — სიქსტი მეხუთე, ბოლო მოუღებელი კომედია. . მოლაყბისა.

IV — ღოთების ქეიფი. (ლექსი.) დ. ბერიევისა.

V — ხალხი და სიმდიდრე . ა. ს. განელისა.

— სხუა და სხუა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# მესამე მოქმედება.

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება თელავის პატარა სავაჭრო ადგილი, აქ გარეშემო მოვაჭრენი სხედან და ყველას თავისი სავაჭრო წინ უწყვიათ გაფენილი)

ბაზაზი. ეს ჩუენი საქართველო როდის უნდა შეიქნას სავაჭრო ქუეყანა, როდის უნდა მივხუდეთ რა არის ქუეყნისათჳს გაჭრობა? რა გახდება ეს ჩითი ჩუთი ჩუენის ქუეყნისათჳს, ანუ ეს მოუდი, ესეც შორის ქუეყნებიდგან მოტანილი თუმცა შორიდგან, მაგრამ მაინც ცოდვის პურსა ვჭამთ ერთს ორათ ანუ სამათ ვყიდით და არ ვიცი ღმერთი რა კარგს მოგვცემს ჩუენ მოვაჭრეთ? არც საბოლოო გვიჩანს რამე კარგი; თუ საკუთრება არა გვაქუს რა, ესენი სულ ტყუილია·

მეწვრიმალე. ასე გაშინჯეთ, ეს სათითე და ეს ქინძისთავები უცხო ქუეყნებიდგან მოაქუთ ჩუენზედ გასასყიდათ და ამის შემდგომ რაღა გვექნება ჩუენი! რა ვქნათ რა უყოთ, ღუთის მტრებისაგან არის ჩუენი ესე უსწავლელობა.

მეპურე. ესკი ვიცი პურის გამოცხობა, ესეც იმისათჳს რომ მშივრები არ დავიხოცნეთ. რა გაეწყობა გარემოებას, ყოველი გარემოებამ იცის,

მეხილე (ბაყალი) ამ ჩუენს პატიოსანს ხილსა ვეშურებით დროით გავყიდოთ. ჯერ ვცდილობთ მყიდველი

მოვატყუოთ, თუ არ იქნა დავალპობოთ, წყალში გადავყრით და იაფათ კი არ გავყიდით ვიცით ესენი სულ ცოდვაა, მაგრამ მაინც არ ვიშლით და ჩუენსას ვშვრებით. სად არის ღმერთი, აღარ გვეშინიან იმისაგან, ის არის შორს.

მპარსავი (დალაქი) დაილოცოს ჩუენი მპარსავების სამართალი. ვინც რას მოგვცემს თჳთო მოპარსვაში, უარს არ ვეტყვით ქელს მიუშუერთ როგორც წყალობისათჳს, საწყალს გაცსავითა ჩუენ ეს არ გვეთაკილება, ამიტომ რომ ამის მეტი მართალი, კეთილი და გემრიელი ლუკმა, სხუა აღარა არისრა ჩუენში კარგი.

(სხუისას აღარ დასცალდებათ სიტყვის თქმა, ერთი ხნიანი შეიარაღებული შემოვა),

ასლან. ქართუელების სიწრფელე, ანუ სიმართლე და ანუ გულის მიმდობლობა რაღათ გაუშვით, რატომ აღარა თქვით? ქართუელების ვაჟკაცობა და მამულისათჳს თავის გამოდება რაღათ დაგავიწყდათ? ახლა ამას თავი დავანებოთ, მახარობლად მოვდივარ, ბატონიშჳლი ირაკლი მოვა ეხლა და მეფე თეიმურაზიც ჩქარა მობძანდება.

ვაჭარნი. ეს ჩუენი სავაჭრო საჩქაროთ გავიტანოთ, რომ ჩუენს პატარა ბატონს დავხვდეთ, (ამასთანავე წამოავლებენ თავიანთ სავაჭროსა და საჩქაროდ გავლენ. ასლანიც მეორეს მხრიდგან გავა. ამ დროს უეცრად პირდაპირ ფარდა აიხდება, სადაც მეფის სალხინოა, ის გამოჩნდება სრულიად განათლებული და საუცხოვოთ მორთულიც არის, ეგრეთვე საფენ მოფენილი. აქ ქალნი და კაცნი ბევრნი დგანან მშუენივრად ჩაცმულნი და ასლანიც

იმათში )

ერთიანად დაიძახებენ, ძეო მეფისაო ერეკლე! გვიხარის შენი მოსვლა, შენი ნახვა. გმადლობთ ღმერთსა! (ესეც შემოვა და შემოსიახებს ასე.)

ირაკლი. მე უფრო კიდევ მომატებით მაგრამ დიდი ამბები გვიძევს წინ. (ყველას მაგიერათ.)

ასლან. არ ვიშიშვით მაგისადჳს, თავს ჩავიყრით ყოველს განსაცდელში. მარტო მე არ, ესენიც ასე მოგახსენებენ.

ირაკლი. მაშ წითელი ჩოხები მოგვიტანეთ და ხონჩებით ხანჯლები. (მოიტანენ. თჳთონ და სხჳანიც ყველანი ჩაიცმენ ) ეს არის მამულის ძებნა სისხლით. და თქჳენ პატიოსანო ქალებო, ეს ხანჯლებიც თქჳენ შემოირტყით, მოვა დრო, რომ თქჳენც გამოიღებთ კელსა.

(ყველანი თჳთეულად შემოირტყმენ წელზე და წინ მწკრივათ დადგებიან კაცების შუა, აგრეთვე ირაკლი )

ირაკლი. ეს გმასაყოფელი არ არის. ორი სათქმელი მაქჳს კიდევ, უნდა სწორეთ მითხრათ: რომელი გინდათ მტრების ხელში, სხეულის მოსვენებაში ვიყვნეთ, ეს გინდათ, თუ დაუწყნარებელი სისხლის ღალვრა მამულისათჳს?

ასლან. არ გაუდრკებით სისხლსა.

ირაკლი. იცით? ოთხსავ კუთხივ მტერი გვახვევია. მერე როგორი? ძლიერნი. რა გვქნათ რა უყოთ, მონებასაც თავისი სიტკბოება აქჳს და თავისი სიამოვნე.

ასლან ჩჳენი ჩამამავლობა ამოვარდეს სისხლის ღვრითა ის სჯობია, მინამ ჩჳენის მონებითა და იმათის

სიცრუის ალერსითა, ჩუენი თესლი გადიცვალოს იმათში.

ირაკლი. კარგი თქუენი სურვილისამებრ აგრე იქნება მაგრამ მე რომ სამოცი წელიწადი მეტი კიდევ ვიცოცხლო და ავდენი წელიწადი მამულს ვეძიებდე, შეგიძლიანთ ავდენი წელიწადები ჩემთან გაძლება?

ასლან. მაშ იმ ქართველების შვილები არა ვართ, რომელთაცა მამულის მძიმე ტვირთი ზურგზე ეკიდათ მარადის?

ირაკლი. წარმოიდგინეთ, ყოველ დღე სისხლის ღვრაში ვიქნებით: ხან ორთა, ხან სამთა, ხან ოთხთა და ხან ხუთს რიგობასთან, სულ სხვა და სხვას მტრებთან. რომელნიცა იქნებიან ერთი ათად ჩუენზე მომატებულნი ყოველთვის.

ასლან. მიგვაგებე სიკუდილს, ძეო მეფისაო ერეკლე. ნუღარ ჰყოვნი ღმერთი გადღეგრძელებს აღრინებული ვართ: ვით ვეფხვი ქურციკების მაყურებელი შორიდგან და მრისხანედ ბღუოდეს იმათზე.

ირაკლი. რახან აგრე. მიგაგებებთ სიკუდილს, ჩემი წინ გაძღოლით.

(ამ დროს რევაზ და ომან შემოვლენ შეიარაღებულნი).

რევაზ. ძეო მეფისაო, მეფე თეიმურაზ და დედოფალი მობძანდებიან. თქუენი დებიც თან მოჰყვავთ და ვინც ფშაველებში გახლდნენ, ისინიც თან ახლავან.

ირაკლი. (სიხარულით). შორს ბძანდებიან?

ომან. ახლოს, დიახ ახლოს ბძანდებიან.

ირაკლი მივეგებნეთ.

ერთპირად მწყალობელსა მეფეს, სიხარულით მიგებება

მოეკვიხდება. (და ერთობრივ გავლენ. ისინი რო გავლენ მელანია შემოვა )

მელანია. გამოვეშურე, სარიდანისათჳს მამესწრა აქ, ერ...ი ფეხით გაუსწრიათ, მეფის მისაგებებლად წასულან, თორემ მეც იმათ გავყვებოდი. სარიდანი წამოვიდა, ჩემი სულიც ფრენით დაედევნა, მოსწყოდა იმას და ორთა მოტრფიალეთა კიდევ გვენახა ერთმანერთი მე და იმის ერთის წუთის მოშორებაში, რაღაც უხმო სივრცე გვიძევს შუა. არ ვიცი სად ძებენ, რომელს ადგილს, ანუ რომელს ზღვაში? აი საუნჯე, საუნჯე ძჳრფასი, რომელიცა ედებში განისვენებს ზეფიროსებთა შორის: სიუჳარული! . განისვენებს, მაგრამ ისრებით მოსხმულ-მოსისხარი. ჩემო კარგო სარიდან, შენმა გაზდამ ზეცაში ახკალ თან ამოგყვერი, ქვეშკნელში ჩაკვალ შიგ ჩამოგყუვერი. სად გაგიშვებ, ვის ინაბარად დაგაგდებ, ჩემი აღურსი არ გეკონოს გულზე მარადის? სუ. ხედავ სადა ვარ აქ? მეფის სალხინოში კიდევ ვნახე ეს სალხინო? აკი ჴელი ავიღეთ, ვეღარ ვნახავდით საქართჳელოს? აკი ამბობდნენ: ვაი ჩჳენი ბრალი, საქართჳელო საქართჳელოდ აღარ იქნებაო. ქართჳელები ამოწყდებიან სრულიად ეხლაო. ჴგავს რომ კიდევ სწყალობს ღმერთი ქართველებსა ღმერთო ჴელს ნუ აიღებ ჩჳენზედ, მტერს ნუ დაგვაჯანინებ, გასაწირავნი არა ვართ ჭეშმარიტად ქართჳელები.

ამ დროს შორიდგან ხმა. გზა დააგდეთ, გზა დააგდეთ მეფე მობძანდება.

კიდევ მელანია. ჰსა? ვისი ხმა შემამესმა? ჩემი სარიდანისა! აი ამ სალხინოში, მე და ის რომ ვთამაშობდით

უმაწყლები, სადაც ჩუენი ცოლქმრობის ამბავი, ჯერ არა იყორა, თჳნიერ ჩუენი გიყობისა ახ, ის უმაწყლობის ჩუენი სიცელქე რომ მამაგონდება: მეტად მიამება ხოლო-მე. განგებასა ეტყოდა, რომ რაღაც უნდოდა ჩუენთჳს მაშინვე

(აღარ დასცალდება, ამასთანავე ძახილით შემოდიან.)

თელავის მცხოვრებნი. მწყალობელო მეფეო თეიმურაზ! კურთხეულ არს შენი მობძანება კიდევ ღმერთმა დაგვი-ფარა მეფეო. ჩუენო პატარა ბატონო ირაკლი, დიდება გეკუთვნის ჩუენო გამომხსნელო! (ამ დროს მეფე, დედო-ფალი, ამათი ორი ქალი; ირაკლი და სხუანი სულერთიან შემოვლენ )

მეფე კიდევ შევერთდეთ ძმებო. კიდევ ჴელი ჴელსა გავაბათ, ჩუენის მტრების გასაღალად.

ერთპირად იყოს აგრე, ხოლო ხმლითა. თორემ ნებით არ მიმართუენ პირსა.

(ამ სიტყუასთან ბესარიონ შემოვა და დამშჳდებით მოახსენებს.)

ბესარიონ წინ ვდარაჯობდი ბატონი შვილის ირაკლის ბძანებით, შენი ჭირიმე, დიდი მტრის ჯარი მოდის თე-ლავისაკენ. ეტყობათ გაჯავრებული არიან, ძალიან მოუშუ-რებიან, გულმა აღარ გამიძლო, ჩვეულებრივ დავერივე, მინამ ერთს მაინც არ მოვსჭერ თავი არ წამოველ. (კაბის კალთიდგან გამოიღებს და მეფის წინ გაუგორებს.) ღმე-რთმა გამარჯვება ნუ დაგილიოს ბატონო მეფეო!

მეფე. ღმერთმა შენც ნუ დაგილიოს გამარჯვება. მამი-შენის შჳლობა გეტყობა ბესარიონ, მაგრამ ახლა ჩუენც

მოკემზადნეთ საომრათ ღმერთი და ბედი.

ირაკლი ჩემო კელმწიფეო, თქუენ და დედოფალი ბანზე აბძანდით, ჩემი დები და სხუა ქალებიც იქ გახლდნენ, თქუენს ამალსაცა ნუ მაიშორებთ, თან იმყოფეთ და დანარჩენი ჩუენზე მოაგდეთ. იქიდგან დაინახავთ იმ ზევით ბანიდგან ყველას.

მეფე. სიცოცხლეო შვილო! დამინებებიას შენთჳს გზედავ იმედეულად და საქართველოს მკვიდრ სვეტად. წავალ გულ მოსვენებით, ასე მოსვენებული რომ ჩემს დღეში არა ვყოფილვარ ასე.

დედოფალი. ბევრი რაღა გითხრა, მითქუამს ადრით. ჳინძლო თავი მამაწონო ირაკლი და დასაქადებლად მეუანდე.

ირაკლის და ანა. დღეის ომი შენი არის, ვნახოთ როგორ ასახელებ თავსა?

ქეთევან. ვნახოთ როგორ გამოჩნდები დღევანდელსა დღესა ომის ცეცხლში?

ირაკლი. მე რა გითხრათ, თქუენი თუალით ნახავთ ყველას.

(ამასთან ყველნი გავლენ, გარდა ირაკლისა, ირაკლის ამალისა და მელანიაც აქ დარჩება სარიდანთან) ირაკლი. ბესარიონ, როგორ გგონია რავდენი ათასი კაცი იქნება ჩუენზედ მომავალი მტერი.

ბესარიონ ათი ათასი მეტი უნდა იყოს.

ირაკლი. კარგი რიგიანი ჯარია, თუ როგორი?

ბესარიონ. კარგი, სულ კელ გამომავალი. სულ ჰრიალებენ ოსმალურს ოქრო-ვერცხლში.

ირაკლი. კარგს ცხენებზედაც სხედან?

ბესარიონ. სულ გამოჩენილს არაბის ტანის ცხენებზე.

ირაკლი. წადი ბესარიონ, თჳალი ადევნე, რომელს მხარეზედ გაიწევს იმათი ანგაარი ჯარი? (ბესარიონ წავა. ირაკლი გივისაკენ მიბრუნდება), ჩემო მოჭირნახულე გივო, ჩჳჱნი ჯარი რავდენიღა გეგულება კარგი ცხენიანი?

გივი ხუთი ათასი.

ირაკლი. მერე შეუძლიანთ ჩჳჱნ მოპირდაპირეთ ჩჳჱნი ომი?

გივი, რატომ არა, შეუძლიანთ, მ.რამ ძალიან გაკპენტავთ დავამარცხებთ.

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გივო! საჩქაროთ გასწიე თელავითგან გაიყვა ჩჳჱნი ჯარი, თელავის სიმაგრეების ზურგი დაუჭირე და ჩემს მოსვლამდისინაც შორს ნუ წახვალთ (ამ სიტყვაზე გივი გავა ირაკლი აქეთ მობრუნებით) რევაზსომან, რადგან ბევრ საქმეში გამოცდილები ხართ და ბევრის ამბის მნახველნი, ამის გამო ჩემთან უნდა იმეოფნეთ და მხარს მინახავდეთ მარადის. ახლა შენკენ ჩემო სარიდან. ეს ყმაწჳლი კაცები გამოუცდელები არიან, მე და შენ ხომ უფრო, რასაკჳრველია. დღეს გამოვიცდებით და თავი კარგათ უნდა ვაჩჳჱნოთ ამ ძველ კაცებს. თორემ განსაკიცხათ დაგჳდებენ ესენი და სიცილს დაიწყებენ ჩჳჱნზე გარდა ამისა დღეს დიდი მძიმე დღეა ჩჳჱნთჳს. ჯერ პირველად ყველამ თავი უნდა დავდოთ და დღეს შევაშინოთ მტერი, თორემ თუ დღეს არ შეშინდებიან გათელვას დაგვიწყებენ. მეორეს მხრით კარგს ნადიმსაც ეგვანება დღეის ომი ჩჳჱნი დღესა,

ამისთჳს რომ მამულის გამოხსნის ჟამი იქნება და წარმოიდგინეთ როგორი სიხარულით უნდა დავდოთ თავი მამულისათჳს? ორივ თოკის წვერი მამიცია თქუენთჳს: მტრისგან ჩუენი თელვა, თუ სიხარულით მამულის გამოხსნა? რომელს აირჩევთ ქართუელებო ამ ორში?

ერთ პირად. სიხარულით სიკუდილს.

ირაკლი აგრე? დიაღ კარგი. დანარჩენიც საომარსა მინდორზედ მოვილაპარაკოთ, (ბესარიონ შემოვა.)

ბესარიონ. ბატონიშვილო! თელავს დაუპირდაპირდა მტრის ძლიერი ჯარი (*) და ჩუენი ჯარიც თელავის ბოლოში დადგნენ დაწკეპილები, მომზადებული საომრად.

(ამ დროს მეფე თეიმურაზ, დედოფალი თამარი, ამათი ორი ქალი, სხუა ქალები და მეფის ამალა ბანზე ავლენ და საიდაც ესენი დგანან აქეთ გადმოდგებიან)

მეფე გადმოსძახებს უსაყვარელესო შვილო ირაკლი! მტერი და ჩუენი ჯარი ერთმანერთს დაუპირდაპირდნენ, აქედგან უცხოთა ჩანს, ასე ახლოს არიან ამ სახლის ქვემოთ გალავნის კედლის ძირში, რომ ჩუენი ჯარის ლაპარაკი ისმის.

დედოფალი. ჩუენი ჯარი აქეთ იხედება, ეტყობათ შენ გელიან მოუთმენლად, ირაკლი!

ანა. მე და ქეთევან, კელს განვიპყრობთ ღმრთისადმი ცრემლით.

---

(*) პირუელი ომი ირაკლისა ნეიშინის მინდორზედ იყო, აქ თელავში მხოლოდ სახესათჳს დავსწერე, ნეიშინის ომიც არის ქუემოთ,

ქეთევან. ქართველების, თქჳჱნის გამარჯჳჱბისათჳს, ირაკლისთჳს. (მასუკან უმაწჳლი ქალები უმაწჳლს კაცებს გადმოსძახებენ თავიანთ ქმრებსა )

უმაწჳლი ქალები. ჩჳჱნი სიყჳარულის ღირსი აღარ იქნებით, თუ თავ გადადებულს ვაჟკაცობას არ გვაჩვენებთ დღეს, ჩჳჱნთან ნურღარ მოხვალთ, გესმისთ ჩჳჱნო ქმ-რებო, აღარ შემოგიშვებთ სახლში!

უმაწჳლი კაცები ნუ სწუხართ ქალებო, მტრის სის-ხლით შეღებილები გამოვალთ (აქ ნახვენ რომ ბესარი-ონის ცოლი ამოვიდა ბანზე, მეფესთან მივა და მოახ-სენებს )

ბესარიონის ცოლი. ჩემო ჴელმწიფეო! ჴელი მიბოძე გაკოცოთ.

მეფე. ოჰ, ჩემო ნათესაო ქექე, როდის მოსულხარ?

ქექე. ეხლა ეს არის გიახელ. (ჴელს გამოართმევს, აკოცებს მასუკან დედოფალთან) დედოფალო! ჩემმა მმო-ბლებმა თაყვანის ცემა მოგახსენესთ უმდაბლესად. (ამა-საც ჴელს გამოართმევს აკოცებს,)

დედოფალი. დიდიხანია იქიდგან წამოხველ?

ქექე. ორი კჳრა იქნება. გზაზე ჩემს ნათესავებში და-მიგვიანდა.

დედოფალი მშჳდობაა, ოსმალები ხომ არას აწუხებენ ქართველებსა?

ქექე. მშჳდობა გახლავსთ. მაგრამ დიდს გამოსაღებს კარგსა სწევენ ქართჳჱლები ოსმალოებისას.

დედოფალი. ნუ ვწუხართ, განგება გამოგვიხსნის. უცხო დროს მოხველი ქექე, დღეს ძლიერი ომი იქნება, წამო-

დი შენი ქმარი გაჩვენო (მიიყვანს და გადმოახედებს) აგერ შენი ქმარი.

ქეკე. ბევრის ლაპარაკის დრო არ არის ჩემო ბესარიონ. თუ ის ერთი ჩუენი შვილი გიყვარს, კარგად გამომიჩვენე თავი დღეს, ნამეტნავად დიდის გვამების ამა... წინაშე !

ბესარიონ. ჩემო ნუგეშო! მანდ ბანზე გადმოდექ პირისპირ ომისა ნახე შენი ბესარიონ ზურგს აჩვენებს თუ ზედ მტერსა დააჯდება ზურგზე, მაგრამ ჩუენი პატარა შვილი რა გიქნია?

ქეკე. ჩემმა დედმამამ არ გამამატანეს, იქ დაიჭირეს.

ირაკლი. ბევრს ნუღარ დავიყოვნებთ, დრო მოვიდა, ახლავე წავიდეთ. ჩემო ჴელმწიფეო ბატონო! აქ თქუენ მშვიდობასა დაგიტევებთ და ჩუენ საომრათა გავემართებით დამშვიდებულისა გულით

მეფე. მეც გამარჯუება მამელოცოს თქუენთჳს ჩქარა. ღმერთი გიძღოდეთ წინ.

(ბატონი შვილი ირაკლი და ამის ამალა სულერთიან გავლენ, მეფე თეიმურაზ და სხუანი ყველანი მეორეს მხარეს ბანის ნაპირიდგან ყურებას დაუწყებენ საომრის მხარეს სარიდან და მელანია აქ დარჩებიან)

მელანია. პატარა მაიკა სარიდან, ფანჯრიდგან გავიხედო, რა ამბავია თელავის ბოლოში? (საჩქაროთ გაალებს გაიხედავს, მაშინვე დაბრუნდება; ლოყაში ჴელს შამოიკრავს ნელა და დიახ წყნარა ჩამოიფხოჭნის ფჩხილებით.)

ქა. შენი ჭირიმე სარიდან, უცხო მტერსა ჩუენი მამული დაულახავს, შემოსულან აქა, ჩემი და შენი სიყვარუ-

ლის მსხვერპლი იყოს, ახლავი გამამიმეტებია. უნდა თავი გამოიდო ძალიან და მტერსა დიდი დაღი დაასჯდეს, თორემ სრულიად წახდა ქართველების სახელი.

სარიდან. (სიხარულით) მართლა? მართლა ჩემო მელანიავ? აგრე, აგრე მითხარ და მასუკან ნახავ შენი სარიდან აღტყინებულს ომში. თუ კხლა ორი თავი არ მოვიტანო ოსმალოსი, ერთი მეფისათჳს და მეორე შენთჳს, მე სარიდან არ ვიქმნები.

მელანია. მეც ამ გალეხულის ფანჯრიდგან გიყურებ, ჩემი სული შენთან იქნება, ჩემო სარიდან (საჩქაროთ გავა სარიდან) სიყჳარული, რაღაც გამოუთქმელი სიამეა საკჳრველი! მარამ მამულისათჳს რა იქნება ერთი მიშველი სიყჳარული?—რომლითაცა მხოლოდ ორნი დასტკბებიან. ეს რას უზამს მამულს, რას შეეწევა, სადაც ათასობითნი უბედურნი ცრემლს აჳნევენ მონებისას. ეს სიყჳარული მოყჳარულთა დავანებოთ, თავის გზაზედ წავიდეს: როგორათაც საუკეთესო წყარო შეერთდება სხჳასა მცირეს მდინარესა პატიოსანს, მე და ჩემის სარიდანის სიყჳარულით მამულს რაო? მარამ არა, სიყჳარული მამულისა სხჳა რამ არის! მამულის შჳლები მონებიდგან რომ გამოიხსნებიან, იმათენს სულსა თავისუფლება მიეცემა, რად ღირს ესა მგრძნობელთათჳს?—ვიცი, კარგად ვიცი, ჩემს სარიდანს მტერი მოჰკლავს უთუოთ, ესეც ვიცი მე ვერ გაუძლებ იმის სიკჳდილს და იმის სიყჳარულით მეც მოვიკლავ თავს უთუოთა, ეს არ არის საზოგადოობის საქმე, ეს არის კერძოობითი, მხოლოდ ორის კუთვნილი კუთვნილება, რომელიცა ვერაფრით ვერ მოკერევი იმის

ვნების ძალას! იმის ძლიერ ცეცხლსა! . . ამისთჳს ოღო-ნდ კი ჩჳენი მშობელი ქჳეყანა მტრის ჴელიდგან გამო-იხსნას, მე და ჩემი სარიდანი მამულის ჭირის სანაცვლონი ვიყჳნეთ, თუნდა ათი ათასის გვემულების ტანჯვით. არა, აღარ შემოვიყრი გულსა ამას იქით. (ამდროს ზევით ბანიდგან დაიძახებს).

მეფე. ნუ გაუშვებთ, ნუ გაუშვებთ, უბრალოდ არ მოკლან.

მელანია. ჰა, ვისას იძახის მეფე?—(ფანჯარას მივარ-დება, გაიხედავს, ისევ საჩქაროთ გამობრუნდება.) ჩემი სარიდანი დაერია მტერსა, ღმერთო შენ მიე შემძლება.

მეფე. (კიდევ დაიძახებს ზევიდგან) ოჰ, ოჰ, რა საკჳ-რველი საქმე ქნა! ორ კაცს თავი მოსჭრა მტერსა და აქეთ მოარბენინებს ცხენით.

(ამ სიტყჳსთანვე ცხენზე მჯდომი შემოარბენინებს, ერის თავს მეფეს აუგდებს ბანზე.)

სარიდან. ჩემო ჴელმწიფეო მეფეო! ჩქარა მამალოცოს გამარჯჳება. მეფე (გაჯავრებით) აგერ ამ შენს ცოლ-დედას მიუტანე ის თავი. (და გაჯავრებული პირს მოარ-იდებს, მასუკან მეორე თავს მელანიას შეუგორებს ამ სიტყჳთ.) ჩემო სატრფიალო კარგო მელანიავ! ესეც შენი წილი, პირობა მოგართვი (საჩქაროთ ცხენს გააჭენებს და მეორე მხარეს გავარდება.)

მელანია. (ფეხს ამოჰკრავს) ვინა ხარ შე საცოდაო? იმისთჳს მოხველი იმ შორის ქჳეყნიდგან, აქ მოგეკლა თავი? მასუკან დედაშენი რა ჴმას იტყჳს, რომელს ტყის ნადირისას შენს სიკჳდილზედ?—ანუ ცოლი შენი თუ გყავს? ის განუზომელი ოსმალოს მამული ცოტაა თქჳე-

ნიჭს, რომ ამ მცირეს ქჳყანასაც ებრძვით, და ეს პატარა ბოხჩა ქჳყანა თქჳნს დიდს განიერს ხალვარში ჩაადოთ დასაღუპად? მებრალვი შორის ქჳყნის კაცო. იქ ერთი ადლი მიწა მაინც გეღირსებოდა დაეფალით, სადაც შენი მახლობლები მოვიდოდნენ ხანდისხან და ლმობიერს ღუთის სასიამოვნოს ცრემლსა დააპკურებდნენ შენს საფლავს. აბა აქ რა გითხრა? აქ ყველას წილი იქნები კარზე ჭაერში: ჯიანჭველა შენს ძარღვებს ამოიღებს, მატლნი ხომ შენს აგებულებაში ცურვას დაიწყებენ ჩვეულებრივ, ზოგი შენზე განსცხრება, სხვა თავის გამკვეთლის ბრჭყალებითა შენს მკერდებს დააფრინდება და დაივი ხეზე ასული შორით გიმზერს, შუაღამის ბნელაში ჩუმათ მოვიდეს, თავის გამოქვაბულს კლდეში შეგითრიოს, რომ აღარავინ შეეცილოს შენსა დანარჩენსა აბრაზებულსა ხორცსა და სრულიად დაკვნიტოს შენი უკანასკნელი მკლავი, რომ კაცის ნიშანი აღარსად იყოს შენი, იჴ, კაცო. ეს არის ბედის წერა შენი, ანუ დაბრმავებული ეტლი კაცისა?—(წამოავლებს იმ თავსა და ფანჯარაში გაისვრის). კაი კაცების პატივის ცემის ღირსნი არა ხართ ოსმალოს თავებო. (კიდევ ფანჯარაში გაიხედავს და საჩქაროთვე გამობრუნდება) ძალიან უწურება ჩემი სულიერი ძმა ჩემს სარიდანს: ვისი ბძანებით დაერიე მტერსა ისე დაუხედავათაო?—აი კიდევ ეუბნება, მესმის: შე თავხედო ნუღარ მაშორდები თორემ ბორკილში ჩაგსაგდებო. მე ვიცი ჩემის გულისათჳს უწურება, მე ვებრალები. (ფანჯარაში გაიხედავს და ისევ მობრუნდება.) აგერ გიჟმა ცხენიდამ ჩამოახდინა სარიდან, მუხლზე აგო-

ცნინა, შეარიგა, ვენაცვალე შენს სულსა ჩემაო ირაკლი, რა კარგი გული გაქვს შენმა გაზრდამ (ახლა ფანჯარაში ყურებას დაუწყებს, ამ დროს ზევით ზანზე მოჭყუებს)

მეფე ჩემო დედოფალო! ხედავ ირაკლიმ როგორ გასრგად დააწყო ჯარი, ყველა თავთავის ადგილას?—

დედოფალი. თქუენს მზეს ვფიცავ, დიდი მხედართ მთავრობა ეტყობა ეხლავ.

მეფე. დიახ, რასაკვირველია, სულ არა ჩქარობს და დამშვიდებული ბძანებლობს

დედოფალი. შიში გვაქვს რამე ამ ციხის გალავანში?

მეფე. სულ არაფერი. მაგრამ ვინიცობისათვის მაინც ოთხი თვის ნუზლი მოუმზადებია ირაკლის

დედოფალი. ის პირველი რაზმი გაუსია, რას ნიშნავს ის?

მეფე. შეიტყოს მტრის განძრახვა, რასა იქს იმათი მხედართ მთავარი

დედოფალი. ოჰ, სულ ერთიან ოსმალოს ჯარმა შემოუტია?

მეფე. იფუქსაკატეს, ქართველები ცოტა ეჩვენათ, ასე დააწყო ირაკლიმ, ასე აჩვენა თავისი ჯარი. ეჰკი აღარ არის დედოფალო, ჩქარა დაამარცხებს იმ თავხედებს ოსმალოთა ირაკლი.

დედოფალი გივს უბძანა შეტევება თავის ჯარით?

მეფე. მეორესა და მესამეს რაზმსა, ისინი არიან გამოცდილნი და ბევრს ცეცხლში გამოვლილი ჯარი, მაგათ გულსა ვინ შეარყევს.

დედოფალი. მხოლოდ ხმლის მეტს იარაღსა სხუას არ

ხმარობს გივი.

მეფე. ირაკლის გამზდელი გამოჩენილი ვაჟკაცია, იმან შიში არ იცის არას საშინელებაში.

დედოფალი რეკაზ და ომან აქეთ იქით გვერდს უდგანან ირაკლის?

მეფე. ძლიერნი მხარნი არიან ირაკლისა ისინი.

დედოფალი სულერთიან უმაწვილები კაცები ცხენიდგან გადახტნენ ირაკლის მუხლებს ეხვევიან. ნებას სთხოვენ მტერზედ მისვლას, მაგრამ ნება არ მისცა.

მეფე. გარგათა ჭქნა, დრო არ არის, ირაკლიმ იცის როცა დრო იქნება, გივს ხედავ, აგერ დედოფალო? ერთს ოსმალს ხმალი შემოჭკრა წელში, შუა გაწყვიტა, მეორესა თავზე დასცა და ზედ უნაგირსა გადაჭკიდა ხურჯინსავით, აბა ვინ გაუძლებსთ იმათ? იმ ჩვენმა სამმა რაზმმა ესე იგი სამ-ათასმა ათიათასი ოსმალო შეაფერხა და თანასწორე ომი მოუხდათ. ოსმალები სიახლოვით რომ ვერა გახდნენ რა, შორს გაუდგნენ და შორიდამ დაუწყეს თოფის სროლა. აქ ირაკლიმ დაიძახა, სწრაფათ თავისი ორი რაზმი გაიყვანა დაფარულის ვენახების ორღობებიდგან, რომელმაცა გაგულისებულმა შეუტია და სხვათაც შეატევებინა გულ თამამად. ეს აჩქარება იმისთჳს არის ირაკლისაგანა, რომ შეფერხებულნი ოსმალონი გონებაზედ ვეღარ მოვიდნენ და ამითი გადუწყვიტოს ომი იმათ. უსაყვარელესო დედოფალო! ყველას დაუწინაურდა ირაკლი, სულერთიან ჩვენი ჯარიც უკან მისდევენ ცხენებ განართულები, გაშიშვლებულის ხმლებითა, და ზედ დაასხდნენ ოსმალებსა, თვალი აღარ

ახამხამებინეს. ღმერთი ნუ გაგიწყრესთ, იმათ თავი ვე-ღარ გაიმაგრონ. გესმის დედოფალო? აჰა, დასცეს ზარი ერთიანათ ქართველებმა! ხედავ დედოფალო? გააქციეს ოს-მალოს ჯარი ქართველებმა და უკან ხმლის კაფით მის-დევენ მამულის გამომხსნელნი ქართველები! (ამასთან მეფე დედოფალი ერთმანერთს სიხარულის ცრემლით გადაეხვევი-ან და მარჯჳენეს ჴელის აღებით ზეცისაკენ.) ღმერთო, გმადლობთ! შენის ზეცისა ქჳეშე ვიყვნეთ ჩჳენცა ქართჳელები, დიდის კავკასიისა და კავკასიელების ერთს ძეთა დაბადებული ჴელახლად.

ერთპირად. (სულერთიან ბანზე მდგომნი) ჭეშმარიტად დიდს კავკასიის ერთ ძეთა!

მელანია. (ქჳემოთ) ახლა მეც ბანზედ ავიდე: გამარჯ-ვებულნი მოდიან ერთობ ქართჳელები. (და გავა. ამ დროს ორმოცი თუ მეტ ნაკლები კაცები ცხენებს შე-მოაჭენებენ, მეფის წინაშე დადგებიან და ყველანი ოსმა-ლოთ თავებს აყრიან ბანზედ)

ნაომარი ყმაწვილი კაცები. მოგვილოცამს მეფეო! და-ვამარცხეთ მტერი და კიდევაც დაგვემარცხებინოს ასე ადვილად.

მეფე მეც გამარჯჳებას მამელოცოს გულუხვად თქჳენ-თჳს. (ამის შემდეგ ირაკლი შემოვა ეგრეთვე ცხენით, რომელსაც მხარში გასხეპილი ნახევარ კაცი უჭირავს მკლავში თავის მარჯჳენეს ჴელით)

ირაკლი. ჩემო ჴელმწიფეო მეფეო და ჩემო მშობელო დედავ! თქჳენი ლოცვა ცრემლი იყო დღეს გამმარჯჳებე-ლი ჩჳენი. (და იმ გაკვეთილს ოსმალოს ნახევარს ბანზედ

აუგდებს.)

მეფე შენა და შენს ძლიერს ქართველებსა გეკუთვნით დღევანდელი გამარჯუჱბა შენმა გაზდამ

დედოფალი შენ ნუ მოჰიგუდები ირაკლი, მაგ ოსმალომ რომ შემოგიტია ხმლითა, არად შაგისადარე. მალე კი დაასწარ და ანაზდად გაჰკვეთე ეს თავის მოყვარული შესაზრალი ოსმალო (და თავის ბაღდადის ჴელცახოცს ქვრის ირაკლის) მამილოცავს გამარჯუჱბა კარგო ირაკლი!

ორივე ირაკლის დები, უსაყვარელესო ძმაო! მინამ გაიმარჯუჱბოდი, მწარედ გსტიროდით. ის სიმწარე აი ახლა სიხარულად მოგვილოცავს შენსა დებსა. (ამასთან წელიდგან წითელს შალებს მოიხსნიან და ირაკლიზედ გადმოისვრიან. მასუკან გიკი, რევაზ, ომან და ხნიანი მეომრები შემოვლენ ცხენებითვე. გივსა ჴელით მოჰყავს ცხენი, რომელზედაც გაპობილი კაცი ზედა ჰკიდია ხურჯინსავით. რევაზს და ომანს წელში გაწყვეტილი კაცები ჴელში უჭირავთ და ყველანი ესენი მეფეს შესძახებენ.)

ხნიანი მეომრები ყოველი ჩუჱნი მტერი ასემც გაწყუჱტილან, როგორც ეს უსამართლო მტაცებელნი, ბატონო მეფეო!

მეფე თქუჱნგნითა მაქუს დიდი იმედი; იმედი თქუჱნი ქართუჱლებო.

(მასუკან ყმაწვილი ქალები თავიანთის გულიდგან წითელს ბულის პირს მოიხსნიან და თავიანთ ქმრებს გადმოაყრიან)

ყმაწვილი ქალები ახლავ კი თქუჱნ გეკუთვნით ჩუჱნი გული უფრო განახლებულის სიყუარულითა. მოგვილოცავს გა-

მარჯუენასთან ჩუენი სიყუარულიც. (ამ დროს მელანია ავა ბანზე და ყმაწვილი ქალები უკმაყოფილოდ მინამ ქალები მელანიას ამას ეტყვიან, სულ ერთიან ცხენოსნები გავლენ და ისევ ქვეითი შემოვლენ.)

კვალად ყმაწვილი ქალები. სადა ხარ მელანიავ შენს გაზდას! რად გამოაკლდი ჩუენში მიგელოცა შენის ქმრისათჳს გამარჯუება?

მელანია. მე ასეთ დროს მიულოცავ, იყოს შესაფერი. თქუენ იყავით ბედნიერი ჩემო დებო, ნუ ინაღვლით ჩემთჳს. (სიმწარით წარმოსთქუამს ამას.)

მეფე. ახლავე ქვემოთ სალხინოში ჩავიდეთ. მაგრამ ბესარიონი სად წასულა ირაკლი?

ირაკლი. დეტად დავადევნე დამარცხებულს ჯარსა. (ამასთანვე სულ წამოვლენ, აქ ბესარიონ სალხინოში შემოვა.)

ბესარიონ. ძალიან დამარცხდნენ ოსმალები. გაიქცნენ გადაიქაჯნენ, მაგრამ ეს ერთი ომი სხუა აუარებელს ომებთან, წვეთია ზღვისა.

(ამას რომ იტყვის, მეფე თეიმურაზ შემოვა და სხუანიც ყველანი.)

მეფე (ბესარიონს). რა შეიტყე ბესარიონ?

ბესარიონ თურმე დიდრონი ჯარები ემზადება ალაზანის პირზედ. კაცები გიახლნენ ქიზიყიდგან. იმათ მოგახსენეს.

მეფე. (ირაკლისაკენ.) რა ვქნათ შვილო რას იტყვი?

ირაკლი. ეხლავ, ეხლა გიახლები ქიზიყს, იქ ჩაუხტები ხვალვე, იმ ალაზნის პირზე. შეიტყონ ვინ ვართ ჩუენ ქართუელები, (თავს დაუკრავს, საჩქაროთ გავა და იმისი

ამალაც თან გაჰყვებიან სულერთიან. ქალები და მეფის ამალა აქ დარჩებიან, მელანიას გარდა, რომელიც იმათ გაჰყვება )

მეფე. (ბესარიონს ) პატარა ხანს მოიცა ბესარიონ. (მაშინვე დადგება.) ვერ შეიტყე იმ ჯარის უფროსი ვინ არის?

ბესარიონ. ალისკანტი მოგახსენეს.

მეფე დიახ გამოჩენილი ბელადია ლაღისტანში ალისკანტი

(ამ დროს ერთი დაიარაღებული გუდა კიდებული კაცი შემოვა, უკან ერთი მანდილოსანი შემოჰყვება ეგრეთვე იარაღით )

გუდა აკიდებული კაცი. ჩემს კელმწიფეს მეფეს გაუმარჯოს.

მეფე. ღმერთმა გაგიმარჯოს ვინა ხარ კაცო?

(აქ ბესარიონის ცოლი დაიკივლებს )

ბებე. ქა გენაცვა, ეს რა ვნახე? (და გაექანება, იმ კაცის გუდიდგან ერთს პატარას ყმაწვილს ამოიყვანს და გულში ჩაიკრავს ამ სიტყვით.) ბესარიონ. ჩვენი შვილი გიაგო. შენამც გენაცვლება ჩემი თავი შვილო (ბესარიონ გაექანება, გამოართმევს და გულზე მიიკრავს სურვილით)

მეფე, საჩქაროთ მოდიხარ კაცო, რა ამბავია? (ამას მეფე რომ იტყვის, ბესარიონ და ამისი ცოლი ბებე განკრძალული დადგებიან.)

გუდიანი კაცი, ჩემო კელმწიფეო! მე ამ ბესარიონის ყმა გახლავარ; ჩემი და ამ ჩემის მოჯალაბის გაზდილია ეს ყმაწვილი. შენი ჭირიმე ბატონო! დიდი შიშიანობა

მოხდა ქართლში. ოსმალებმა აღარ დაინდეს ქართლელე-ბი, იმდენის ხარკის მიცემა რომ ვეღარ შეიძლეს ოსმა-ლებისა, აკლება დაუწყეს ქართლელებსა, ასე გაშინჯეთ ერთი დიდი კაცის შვილსა, პირში ცხენის ლაგამი ამოს-დეს, ზედ ოსმალო შასვეს და ცხენსავით აჭენებებინეს ამ ჩემი ქალბატონის დედმამის სახლიც სულ დაანიავეს, შამეშინდა; ამ პატარა ყმაწვილს არა ავნონ რა მეთქი, კელი წამოვავლე, გამოვიტაცე, ეს თქვენი მოახლეც თან გამამყვა და დღეს ხუთი დღეა, გზაზედ ვდგევარ.

მეფე ღმერთო! ღმერთო! რა ანბავია ჩვენს თავსა! (დაფიქრების შემდეგ) მერე არავინ დაგხვდათ ავი კაცი გზაზედ?

გუდიანი კაცი სულ მთა მთა ვიარეთ უგზო უკვლოთ, ტყე-ტყე

მეფე არაგვში როგორ გამოხველ, იმ ლაღსა მდინა-რეში?

გუდიანი კაცი არამც თუ ეს პატარა ყმაწვილი, ეს ჩემი ცოლიც მხარზე შამოვიგდე და ორივ ადვილად გამოვი-ყვანე შუაღამისას, ვიცოდი კარგი ფონი.

მეფე. პური გქონდა გზაზე საკმაო?

გუდიანი კაცი ამ თქვენმა მოახლემ პურით სავსე გუ-და გამოიტაცა, წამოიღო

მეფე ეგ ყმაწვილი როგორ მოგყვანდა?

გუდიანი კაცი გუდით, ჩემს ზურგზედ წამოკიდებული. (ამ სიტყვებზედ მეფე თავის მდიდარს კაბას გაიხდის და გუდიანს კაცს ჩააცმევს.)

მეფე მაგ შენი ბატონის ერთგულობისათვის, ეს კაბა

შენთჳს მამიცია და ჩემის გულითვე ჩაგაცმევ. (და ჩააცმევს

ბესარიონ. ჩემო ჴელმწიფეო! თქუენი მოწყალება განუსაზღურელია ჩუენზე, მეც შენი ჭირიმე ჩემი საკუთარი მზუარი მაგ იოსებისათჳს მიჩუქებია ერთგულობისათჳს.

მეფე. მაგის მაგიერათ მე გმადლობ ბესარიონ, ჩუენს შჳლებში და ჩუენს გლეხებში გარჩევა არ უნდა იყოს ჩუენგნით არას დროს.

გუდიანი კაცი (მივა და მეფეს მუხლზე აკოცებს) ეს მოწყალება დაუვიწყარი იქნება ჩემი შჳლი-შჳლებისაგან.

მეფე. ახლა კი დრო მოვიდა, ყველანი თავთავისად წავიდეთ, მცირედ მოვისვენოთ და შენ ბესარიონ, შენ საჩქაროთ წადი ირაკლისთან, პასუხს ველით თქუენგნით.

ბესარიონ უთუოთ კარგსა. (და ყველანი წავლენ. ესენი რომ გავლენ მელანია შემოვა.)

მელანია მერვე დღეა, ირაკლის ამბავი არა ვიცით რა, სწორეთ სწორია დღეს, რადგაც ომების ჴმები მოვიდა, მარამ მართალი ღუთისაა ეს ჩემი სიყუარულის ბრძოლა, ომი არ არის თუ?—ეს მერვე ღამეა, ჩემი ტანჯუა და ჩემი სიყუარული ურთიერთსა ებრძვის, მერე როგორ? ეს განმძლიერებული გმირნი შეჭიდებულან ძლიერის ჴელებითა და წელს უღოჯენ ერთმანეთსა გასატეხად. მე თქუენს შუაში ჩავარდნილსა, მე მამიდნობთ თქუენა, ჩემზე მოსულო ავაზაკებო.

(ამ დროს სარიდან შემოვა)

სარიდან ოჰ, ჩემო მელანიავ, აქა ხარ შენ?

მელანია. (გაექანება, გადაეხვევა). შენი სულის ჭირიმე. ნეტავი ჩემს თუალებს შენა გნახეს. როდის მოხველ სი-

ცოცხლდეთ?

სარიდან. ეხლა ესარის მოველი.

მელანია. სხჳა ამბავი რაღა?

სარიდან ომები დიდრონები. ხედავ ჩემო მელანიავ ამ ჩემს წითელს ჩოხას? ას ოც და სამი ტყჳა არის გავარდნილი ამ ჩოხაში, ყოველი ახლანდელი მეომარი ქართჳელი სულ ასე ომობს, ასე თავდადებით, მაგრამ ბატონი შვილი ირაკლისა რა გითხრა?—ის გადაგვემატა ჩჳენ, სულ შუაგულს მტრის დასებში ვხედავთ იმას ხმალ ამოღებულს მტრის თავზე. ამას თავი დავანებოთ, მითხარ მეფე და დედოფალი სადა ბძანდებიან?

მელანია სასტუმროს სენაკში; გინდა მოვახსენო შენი მოსვლა ჩემს ნათლიას?

სარიდან კარგი იქნება შენმა გაზრდამ. (გავა მელანია).
კიდევ სარიდან. საწყალს მელანიას, ჩემს ლაპარაკში, სახე სულ უყვითლდებოდა, სულ გადაფითრებული მიყურებდა, უნდა ეთქო რამე, მარამ ვერ გაბედა, სიტყჳა გულში უკუდებოდა.

(მეფე, დედოფალი და ყველანი შემოვლენ)

მეფე აბა სარიდან, რა ამბავი მოგვიტანე?

სარიდან. ამ რვას დღეში ოცდა ერთი ომი გადვიხადეთ. ასე შეშინდნენ ჩჳენი მტრები, რომ დაკარგულსავით აღარ ჩანან, ეს მოგახსენათ ბატონის შვილმა ირაკლიმ ჩჳენო ჴელმწიფევო!

მეფე. უცხო მახარობელი ხარ სარიდან. მაგისათჳს ეს ჩემი საათი ჩემს სახსოვრათ გქონდეს, (ამოიღებს უბიდგან მისცემს სარიდანს)

სარიდან. ჩემს სიკჳდილამდინ, ჩემს მეგობარ ამხანაგად, ჩემის ჟამების დროს გასატარებლად

მეფე. თქჳენი მხრით ბევრი ხომ არ დაგეჭრათ, ან არ დაგეხოცათ?

სარიდან. არა ისე სათქმელი. თქჳენი მეფობის შჳლი ირაკლი მაშინვე სწყლავს მტერსა, სწრაფათ, ანაზდად, ასე ანაზდად, რომ ვერცკი მოვა ხოლმე გონებაზე მტერი, ბევრით ჩჳენზე მეტნი

მეფე. რაც თქჳენს კაცობასა ეკადრებოდა ქართჳელე-ბო, იმისთანა მომლელი მოგცათ ღმერთმა, ჩემი ქა-რთველებისას რაღას მეტყჳ, როგორ იყჳნენ?

სარიდან. თქჳენის შჳლის ირაკლითგან მოკიდებული უკანასკნელ მეომრამდინ, ჩჳენი ახლანდელი ომები არის, ხმალი და სიკჳდილი. ასე ვომობთ და ასე ინება ბატონი შჳლმა.

მეფე ეგ არის და მაგითი დაამარცხებთ მტერსა, აუ-ცილებლად. რევაზ და ომან როგორ ზურგს უნახვენ ირაკლისა?

სარიდან. მაგარს, შეურყეველს

მეფე: იმის მოჭირნახულის გივისას რაღას მეტყჳ?

სარიდან. უშიშარი, ძლიერი ვაჟკაცია ბატონო, მარ-ჯჳენს ფერდში მოხჳდა ტყჳა და მარცხენს ფერდში გავარდა. ორსავ ნატყჳარში აქეთ იქით, ერთში კელსა-ხოცი დაიცო, მეორეში ბალახი, რომ საჩქაროთ კელსა-ხოცი ვერ იშოვა, და ისევ შუაგულში შევიდა ომის ცე-ცხლში და ყველას უკან ომიდგან გამოვიდა, ხმალ-მარ-ჯჳენა კელი გაბასრული სისხლით. როდისაც ბატონი-

შჳლის ირაკლისთან გიახლით და გამარჯვება მოულოცა, უთხრა: შენი დაჭრილობა მაჩვენეო? იმან დაცმულები გამოიღო, რომელსაცა ორსავ მხარეს გადმოხეთქა სისხლმა წყაროსავით. მაშინვე თავისი გამოჩენილი მკურნალი დააყენა და დიახ კარგათ გაუკეთა დაჭრილობა. (აქ სარიდან გაჩუმდება.)

მეფე. (შეწუხებით.) დიდათ დაჭრილა? უთუოთ მოკვდებოდა.

სარიდან. იმის დაჭრილობის შემდეგ ჩვიდმეტი ომი კიდევ გადვიხადეთ, რომლებშიაც პირველი მეომარი გახლდათ, ყველგან გივი.

მეფე ოჰ, რა რიგად მასიამოვნე, ახლა სად არის ის?

სარიდან. ბატონიშჳლთან განუშორებლივ. თითქმის მორჩა კიდეც. (ამას რომ იტყვის ბესარიონი შემოვა.)

ბესარიონ. ბატონიშჳლმა ირაკლიმ თაყვანის ცემა მოგახსენათ მეფე დედოფალო, მე ამ სიტყვით დამაწინაურა და თვითონაც ჩქარა გიახლებათ კარგის ამბით.

მეფე როდის მოვა, ჩქარა?

ბესარიონ უთუოთ ჩქარა ჩემო კელმწიფეო! (ამ დროს ირაკლის დები გაექანებიან.)

ირაკლის დები. ოჰ საყვარელო ძმაო! შენ ნუ მომიკვდები, ყოველს საღამოზე ფეხშიშველა დავდიოდით ეკლესიაში თქვენის გამარჯვებისათჳს.

ირაკლი. ვიცი თქვენმა გაზრდამ, როგორც გტკივათ გული ქართველებისათჳს (მასუკან მეფე დედოფალი მიემშჳდობებიან.)

მეფე მამილოცავს ერთობ თქვენთჳს გამარჯვება!

დედოფალი მეც ეგრეთვე ქართველებო!

მეფე. შვილო ირაკლი, სხჳა ამბავი რაღა?

ირაკლი. სპარსეთის ნადირშას, დემურტაშიედ დიდი ჯარი დაუმარცხებია ოსმალოსი. ქ ტფილისში შემოუთვლია ოსმალოებისათჳს. საქრისტიანო დაცალეთო და დაუცლიათ კიდეც. ოჳთონაც თურმე აპირებს იქ მოსვლასა ოკტომბრის თვეში. გუშინ ჩემთან მოვიდა ირმასხანი, ჩჳენ იქ უნდა დავხჳდეთ ჩემო ჴელმწიფეო მამავ!

მეფე. (ღმრთისადმი.) ქრისტიანეთა სცდი, ქართველსა სჯი, ქართველს იხსნი და ქრისტიანეთათჳს გმადლობ განგებასო! ახლა ჩემო ირაკლი, რაღას იტყვი?

ირაკლი. დიახ საჩქაროთ უნდა გავეშურნეთ, ქალაქ ტფილისში უნდა ჩავიდეთ.

მეფე. მაშ დედოფალო, თქჳენ აქ უნდა ბძანდებოდეთ ერთობ ქალებითა. (თავს დაუკრავს ყველას ირაკლითურთ და გავა. სხჳანიც ეგრეთვე.)

დედოფალი. ჩჳენც წავიდეთ, ვნახოთ ტფილისიდგან რა ამბავი მოგვივა?

(ესენი რომ გავლენ, მელანია შემოვა)

მელანია ხუთი დღე წავიდა, არა ვიცოდით რა ქალაქ-ტფილისიდგან ამბავი რამ. ამ პირველ ღამეს წიგნი მოუვიდა დედოფალსა მეფისაგან. მთელი ქალაქის ერი გამოჭგებებიათ. ირაკლი ცხენითგან აუტაცნიათ და კელდაკელ ქალაქს შეურბენინებიათ დიდის დღესასწაულით. მეფეს მეტის სიხარულით უტირია (მაიხედ მოიხედავს) გაგონილა? ერთი მოსამსახურე არა ჩანს აქ, მოძღვარი დაიბარა პარაკლისისათჳს დედოფალმა. (უცქერათ რამდე-

ნიმე ხნიანი დედაკაცნი და კაცები შემოვლენ.)

(ერთიანათ. (ხმა მაღლა) ქალო. შენ გაზრდას, დედოფალს მოახსენე გამობძანდეს საჩქაროდ.

მელანია. მითხარ რა დაგმართვიათ?

ერთიანათ ჩქარა მოახსენე, თორემ თჳთ ჩვენ შევცვივდებით (ამ დროს დედოფალი გამოვა თავის ბანოვნებით)

დედოფალი. ეს ვინ ყვირის, ვინ იძახის?

ერთიანად. დედოფალო, რაღაც დიდი წითელი სვეტი გაჩნდა ცაში!

დედოფალი როგორ თუ სვეტი?

ერთიანად აი შენი ჭირიმე, აქ გამობძანდით კარზე, ზეცისაკენ შეიხედეთ! (საჩქაროდ გამოვლენ, შეხედვენ განცჳფრებით)

დედოფალი. არ გაგონილა! ეს რას მოასწავებს? საშინელი დიდი სვეტია! იმის ბრწყინვალებას მთავრის შუქი დაუფარავს! აი, აი ჩამოვიდა. (და ჩამოეშვება დიდი სვეტი სხივ მოსხმული) მელანიავ, შენს გაზრდას, საჩქაროთ მოძღვარი მოაყვანინე, პარაკლისი გახდევინო.

მელანია ეხლავ, ეხლავ შენი ჭირიმე (საჩქაროთ გავარდება, იმის გავარდნისთანავე ის სვეტი გასქრება, ძლიერად დაიჭექებს და მრავალს ვარსკვლავებად განიბნევა. აქ დედოფალი და ყველანი დედამიწაზედ დაეცემიან შეძრწუნებული. ამ დროს დედამიწის ძვრას მოჰყვება თავის გრგვინვით და სრულიად სალხინო რყევას დაიწყებს ამ რყევაზედ დედოფალი და ყველანი წამოცვივდებიან. (*)

---

(*) ეს ნათლისა სვეტი და მიწის ძვრა ერთს ჟამში არა ყოფილა, მე აქ სახისათჳს, ერთად მოვაქციე. მაინც

დედოფალი. ნუთუ ჩჳჱნი უმშჳჱნიერესი საქართველო ამოიფხვრას, დაღრენილს დედამიწის პირში ჩავარდეს? ამის ნაცვლად შენ სხჳა რაიმე სრულიად ქჳჱყანაო? ეს ჩჳჱნი ქჳჱყანა არამც თუ კაცსა—ანგელოზებსაც ეკადრებათ სამკჳდრებელად აქ. არ არის დასაღუპი, ჭეშმარიტად.

(უარესად შეირყევა დედამიწა და სალხინოც)

დედოფალი (დაკივლებით). ვაი შენი ბრალი საქართჳჱლოვ! (გული შეუწუხდება, გულ შეწუხებულს წამოავლებენ და კარზე გაიტანენ, სხჳანიც ყველანი თან გაჰყვებიან. ისინი რომ გავლენ მელანია შემოვა)

მელანია. მეფე თეიმურაზის წიგნი მოუვიდა დედოფალსა: ეჰა, საკჳრველებაო! ის ზეკაი ნათელი სვეტი მთელს საქართჳჱლოს დაუნახამს, იმის დაჭექებაზე, არამც თუ თელავი—მთელი საქართჳჱლოს ქჳჱყანა შეირყა. ეს კიდევ არაფერი, როგორც ეს ორმოცი დღეა დედამიწა ირყევა მეტის ქანებისაგან: კავკასიის მთებიდგან დიდრონი ბორცვები გადმოვარდნილა, ბევრი ციხეები დაქეწილა, ბევრი ეკლესიები დაქცეულა და შენობებს ხომ ანგარიში არა აქჳსო: ეს რაღაც არის, რაღაც მოსწავებაო დედოფალო! ვაჲ თუ ეს მოსწავება იყოს, რომ საქართჳჱლო წარიტაცოს ვინ იცის ვინა? ბატონი მჯლის ირაკლის დროსკი ეს არ შეიძლება, ასეთი კარგი რამ არის! სალხინოვო! აჰა თუ მოსწავება არ იყოს, აი კიდეც ემზადები დასაქცევად. (ამ სიტყჳსთან გაიქცევა კარზე, გავა და სალხინოც დაეცემა დაქცეული. იქ შორს თელავის ქალაქი გამოჩნდება, ბევრი იმისი შენობა იქცევა,

---

იმ დრომებში მომხდარა ორივ ესენი

დედაკაცნი და კაცნი თავის წვრილის შვილებითა აქეთ იქით მიმორბიან შეძრწუნებულები სხჳა და სხჳა სახით ამის შემდგომ დედოფალი და იმისი ბანოვანნი დაქცეულს სა-ლხინოზედ ამოვლენ. მელანიაც ამათთან ერთად მოვა.)

დედოფალი არ ვიცი ამაოებამ ეს სახლი დაანგრია, თუ ამ სახლმა ამაოება? (რავდენჯერმე ფეხს დაჰკრავს) ამაოებავ, ამაოებავ! მინამ შენი არ შეისრულე, შენი ჯინი არ მოიკალ არ დაწყნარდი მიწის რყევისაგან, ერთი ესღა გვაკლდა, ეს უბედურება ქართჳელებსა, ახლა რაღა კიდევ, რაღა გინდა ჩჳენთჳს ამაოებავ? (კიდევ ფეხს დაჰკრავს) განა ყოველი ამაოებაა და მისთჳს სდევნი ქართჳელებსა ამაოებავ? მითამ მაგითი დაიშალა კაცმა თავისი გონების მიმართულების ძალა ამ სოფელზე? არა. შეკიდეც იქა ვარ, ვინც მომეტებულს გამოცდილებაში არის, იმას უფრო უცხოვლდება თავის საწადელის ვნება ამ სოფელში, რა-ვდენი მომაკჳდავი კაცი წამომდგარა ქვეშაგებით. მეც იმედს არ გადავიწყვეტ მინამ ცოცხალი ვარ, შენ რაც უნდა გვდევნო ქართჳელებსა ამაოებავ. ახლაკი წავიდეთ ქალებო, მეფის წიგნი მამივიდა; ქალაქ ტფილისში უნდა ჩავიდეთ სულერთიან, როცა ნადირშა გავა ქალაქიდგან, წავიდეთ, მოთმინებას მოწყალება მოაქჳს ღმრთისა!

(ყველანი გავლენ მელანიას გარდა)

მელანია ჩავა და იქ გათავდება დღენი ჩემნი, ასე ვგრძნობ წინათვე

(ორსავ ხელებს თჳალებზე მიიფარებს და ფარდაც ჩამოეფარება.)

დასრულდა მესამე მოქმედება.

# მეოთხე მოქმედება.

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ქ. ტფილისის პირდაპირ აღმოსავლეთ სამხრეთისაკენ ფრიალო კლდე, ზედ გუმბათიანი ეკლესია მეტეხის ღვთის მშობლისა, ეკლესიის წინ ქვემოთ საფლავებია, საფლავების უკან ვარდების ბუჩქებია, მხოლოდ ფოთლებიანი, უვარდო და ვარდების ცოტა ზევით მაღლა კლდეში გამოკვეთილი, სადაც აქ საფლავების წინ ბატონი შვილი ირაკლი დგას თავის ამალით)

ირაკლი (ორს საფლავზე ხელს მიიდებს) ჩემო მოჭირნახულე გივო, ჩვენში გამოაკლდნენ, ჩვენი სარიდანის მამა და ამის ცოლი, იყო სარიდანის მამა ჩემი მაგარი მხარი.

გივი. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ორთავ. გაუდრეკელი ვაჟკაცი იყო სარიდანის მამა, ხშირათ ვნახამდი, მტერსა კისერზე აჭრდა ხოლმე, ხმალ მოელვარე.

(ამ დროს დედოფლის თამარის მოსამსახურე შემოვა.)

გრიგოლ. ბატონი შვილო, თქვენმა მშობელმა დედოფალმა, მოგიკითხვა გიბძანათ, ეხლა თელავიდამ მობძანდა, ავლაბარში გადახტა და თქვენი აქ ყოფნა რომ გაიგონა,

ისიც მობძანებას აპირებს ამ ეკლესიის თაყვანის სცე-მლად.

ირაკლი. რატომ ქალაქ ტფილისის სამეფოს სასახ-ლეში არ მიბძანდა, იქ არ გადახტა?

გრიგოლ. აქედგან აპირებს იქ წაბძანებას, ასე ინება, აი ბატონი შვილო დედოფალიც მობძანდება. (ირაკლი მოიხჳდავს დაძახებით.)

ირაკლი ჩემო მშობელო დედავ! წუხელის სიზმარში გეხვეოდი.

დედოფალი (შემოსვალაში) შენმა გაზდამ ირაკლი! კარგი შვილი მყევხარ და მამულს კარგი მე! (და გადაეხ-ვევიან ერთმანეთს), მაგრამ ჴელმწიფე მეფე სადა ბძანდება?

ირაკლი. გუშინ ცხეთას წაბძანდა, იქ ორ კჳრას დარ-ჩება სამეფოს საქმეზე, არა გნებავთ ღჳდელი მოვაყვან-ინოთ, ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადოთ საქართჳელოს დღეგრძელობისა?

დედოფალი როდისაც მეფე მობძანდება მაშინ სჯობია.

ირაკლი მაშ თაყვანის-ცემა ინებეთ ღჳთის-მშობლის ხატისა ეკლესიაში.

დედოფალი. ვიყავ კიდეც, მეორეს მხრით.

ირაკლი. იყო შესაბამი ეკლესიაში მომეხსენებინა, მა-გრამს იხარული სულ ერთია ყველგან, აქაც გახარებთ დედავ!

დედოფალი რასა? რასა შვილო!

ირაკლი. ქართლიც გაგვიერთდა საქართჳელოს ერთ სამეფოთ!

დედოფალი. ჩემი სამშობლო ქართლი? ჩემი უსაყუ-არელესი მამული საქართველოს გაერთებია! (ამასთან დაე-

მხობა, მასუკან წამაიხოქენს და კელის დაკჳრით თავზედ იტყჳს ) ეს ჩემი თავი შენი ჭირის სანაცჳლოდ იყოს საქართჳელოს ერთობაო. (კიდევ დაემხობა.) ვით არ გადვიხადოთ ჩჳენ მადლობა ღჳთაებაო! (და ადგება )

დედოფალივე მაგრამ ახლა ეს მითხარ ირაკლი, ნადირშამ როგორ გნახათ თქჳენ ქართჳელნი?

ირაკლი. მეტად, მეტად მოეწონა, როდისაც ჩჳენი ამხედრებული ჯარი ნახა, სულ გადაირია: ამ ჯარით ბევრს შევიძლებ, თავის დროზედ მივიწვევთო სპარსეთში, მაგრამ მამას მეფეს რადათ უძლურია, ესკი აღარ ვიცი.

დედოფალი რაღაც ეშმაკობა, რაღაც ცბიერობა იქნება იმისაგან. მაგრამ რაო, რა გითხრა შენ?

ირაკლი. თავიდგან მოკიდებული ფეხებამდისინ ამავლო-თჳალი და ჩამავლო რამდენჯერმე, ბოლოს მიყურა კარგა ხანი, მერე მიმიყჳანა თავისთან და ალერსით მითხრა: კარგო ბიჭო, კარგი გონება და კარგი ვაჟკაცობა გეტყობაო სახეზე, მოუარე შენს მამულს, ჩემს სამსახურშიაც კარგათ იყავიო, მასუკან ერთი ხანი დაგვინიშნა: ამას აქ დავაგდებ ჩემის ჯარითაო თქჳენ მოსავლელად.

დედოფალი. მერე სად არის ის ხანი თავის ჯარით?

ირაკლი. აქ ქალაქში დგანან, და კარგათ შეექცეიან ყოველს ჩჳენს დიდს გამოსავლებზედ, რომელმაცა მეტად დიდი ხარჯი დასდო საქართჳელოს, მართლა იმ ნადირმა.

დედოფალი. ოჰ, აღარ მიამა მაგის გაგონება. მაგრამ ახლა ეს მითხარ, გეტყობა წირვა აქ მოგისმენია ირაკლი?

ირაკლი. (დაღონებით) დიახ შენი ჭირიმე აქ მოვისმინე. ახალის ორის მეჭედრებისათჳს ვაწირვინე დღეს.

დედოფალი. როგორ თუ ახალი მკჳდრებისა, რომლებისათჳს?

ირაკლი. აი, ამ ორი მკჳდრებისათჳს.

დედოფალი. ვინ, ვინ არიან ეგენი?

ირაკლი. შეწუხდები დედოფალო.

დედოფალი. თქჳ ჩემო კარგო შჳლო

ირაკლი. სარიდანის დედ-მამა, ომან და ბარბარე.

დედოფალი ახ. საცოდავნი, ორნივ მამულისათჳს თავ დადებულნი. (მივა და ორს სათვალავსავე თაყვანსა სცემს, მასუკან ადგება, იტყჳს) თქჳენ რომ თელავიდგან წამოხვედით, ესენი მაშინვე სომხითისაკენ დამეთხოვნენ თავის ნათესავებში და ახლა არ ვიცი რა შემთხვევიათ ამ უბედურებს?

ირაკლი. მითამ ოსმალები გავიდნენ ქართლ-სომხითიდგან? რა ბძანებაა, მართალია, იმათი ბძანებლობა აღარ არის საქართჳელოში, მაგრამ იმათი მეკობრებით აივსო ეს ქჳეყანა, ლეკებიც გამოიყჳანეს ჭარ-ბელაქნიდგან ახალციხეში და დიდი ოხრება დამართეს საქართჳელოს დედოფალო! არ დაიჯერებ ჩემო უსაყვარლესო დედავ, რომ რაც თელავიდგან წამოვედით, ამ ცოტას ხანში ას ოცდა ათი მეტი ომი გადამიხდია, მუსრს ვავლებთ იმათ ჯარებს; მაგრამ ბალახები არიან, ერთი რომ აღარ არის, მეორე თან მოსდევს.

დედოფალი· ვიცოდი რაც მოხდებოდა, ხომ არ დაგღალა მტრებმა ირაკლი?

ირაკლი· ოცდა ოთხს საათში, სამი საათი ძილი არა მაქჳს, თქჳენს მზეს ვფიცავ, დაღალვას რა ჰქჳან დედოფალო?

დედოფალი. ნუ გეწყინება ჩემო უსაყვარელესო ირაკლი! შჳლი ხარ და გკითხე.

ირაკლი. არა, ჩემო კელმწიფეო დედავ, დედა ბძანდები და მშობლიურმა სიყჳარულმა თავი წამართო შენი ჭირიმე:

დედოფალი. ახ, ჩემო ირაკლი, ჩემო სიცოცხლევ! მაგრამ ახლა ეს მიამბე, ამათი სიკჳდილის ამბავი?

ირაკლი. თავის ნათესავებიდგან რომ წამოსულან, გზაზე ოსმალ ლეკები დახვედროდნენ, ესენი ცხრანი ოსმალ ლეკები ერთი ბაირაღის კაცნი კიდევ თურმე ვერას უზამდნენ, მაგრამ სოფლის გაშლოვნის ვიწროებში დახვედროდნენ უცებ. ძალიან კელი გამოედოთ ამათა, ოცამდისინ ლეკი და ოსმალო მოუკლავთ, მაგრამ ბოლოს დროს ესენიც სულ დაუხოცავთ და დღეს მეშვიდე დღეა ამათი დასაფლავება.

დედოფალი. სარიდან სად არის? აქ არ იყო ამათ დასაფლავებაში?

ირაკლი დღეს ოცი დღეა ოსმალოს სამძღჳარზედ გავგზავნე ჯარით, რადა მოეხსენო იმის სამსახური ანუ გაუქაცოის! ჩუწნენით ყველასგან დაუვიწყარი უნდა იყოს.

დედოფალი. მელანია რომ შეიტყობს სარიდანის მაგ ამბავს, რა რიგათ იამებს!

ირაკლი. ჩემი სულიერი და მელანია როგორ გახლავსთ?

დედოფალი. კარგათ. ამაღამ მარტყოფს მოვა თავის დედმამითა და ხვალ ავლაბარში გადახტეიან, იქ მზათა აქუთ სახლები (ამ დროს ორი საფლავების მთხრელნი შემოვლენ წერაქვ ნიჩბებითა, თავს დაუკრენ დედოფალს

და ბატონი შჳლს.)

დედოფალი. ვინა ხართ, ნიჭნებ წყრაქვებით?

პირველი. უსულოს ადამიანების ჴელოსნები.

დედოფალი. პირველი გაგონებაა, მკჳდარსა ჴელოსანი ჰყვანდეს.

მეორე. არა, ჴელმწიფეო დედოფალო! უხელოსნოთ არა შეიძლება რა ქჳსაც ჴელოსანი უნდა და მკჳდარსაც.

დედოფალი. ორსავ გეტყობათ კარგათ გაზრდილობა, ვისთანა ხართ გაზრდილი?

პირველი. კავკასიის მთიულეთის მთაში, ერთს გამოქვაბულს კლდესა, ერთი მოხუცი ბერი იყო დიდი ხნის განდეგილი, სადაც ბორბოხების მფრინველების მეტი სხჳა სულიერი იმ ადგილს არ იპოვება. იმ ბერთან ხშირათ დავდიოდით და იმისაგან ვისწავლეთ რომ ამ სოფელში ანთებული სანთელია კაცი, ერთის შებერვით გასაქრობი, რომელიცა ვიწროთ სცხოვრობს ამ განიერს ქჳეყანაში, ყოვლის დაუმადლებელი უმადური ის რომ კჳდებოდა იმისი ანდერძი იყო, რადგან იმ კლდიანს მთაში საფლავი არ გაიჭრებოდა, ჩემი სხეული ერთ კლდეზედ დადეთ, ბორბოხებმა ჩქარა შემჭამონ, რომ ჩემი ამძაგინებულის ხორცით წმინდა ჴაერი არ წახდესო. ანდერძი აღუსრულეთ, მაშინვე დიერონი ბორბოხები დაეხვივნენ და საჩქაროთ ჩანთქეს იმისი გვამი, რომ ერთი ბეწო ნიშანი არ გაუშვეს იმ კლდეზედა იმ წმინდის ბერისა. ამის მნახველთ, ამაოს სოფელს შევაფურთხეთ თხუნელასა: შემდგომ აქ ქალაქში ჩამოვედით და ეს ჴელოსნობა ამოვირჩიეთ: მარადის თუალ წინ გვიდგას ეს სოფელი, რო-

მელსაცა ეხლა ნახავს თქუენი კეთილი თუალი დედოფალო.

დედოფალი. რას ნახავს ჩემი თუალი ეხლა?

პირველი კაცისათჳს საფლავის გათხრას.

დედოფალი. მერე ვინ არის ის კაცი?

პირველი. ამათ გვერდით უნდა გავთხაროთ საფლავი.

ირაკლი (აღარ დაცლის დედოფალსა). რას ამბობთ, ვინ გაგათხრევინებსთ მაგათ გვერდით?

პირველი ასე გვიბძანეს, ომანისა და ბარბარეს გვერდით გათხარეთო, ამათი საფლავებიც ჩუენ გავთხარეთ.

ირაკლი. ვინ გიბძანათ, ვინ არის ბძანებელი?

პირველი დიდის ყოფით მოაქუთ ერთი ყმაწვილი კაცი, დიდი კაცის შვილი.

ირაკლი. რას ამბობენ, რა მესმის არ ვიცი!

(უეცრათ რავდენიმე სარიდანის ამხანაგები შემოვლენ საკინძ ჩამოსხნილნი ყველას თავიანთი საჭურველი ყელზე ჩამოკიდებული აქუთ წინ გულთანა, შეწუხებულები დედოფალსა და ირაკლის თავს დაუკვრენ უსიტყოდ. ირაკლი მიხუდება რაც ამბავია.)

ირაკლი სარიდანის ამბავი ხომ არა არის რა?

(ერთი ამხანაგებთაგანი შეწუხებით),

ბესარიონ. სარიდან თქუენი ჭირისანაცვლო შეიქნა ბატონი შვილო,

ირაკლი როგორ! ჩემი ძმა სარიდან გარდაიცვალა? (სარიდანის ამხანაგები მწარეთ დაღონებულები თავებს ჩაჰკიდებენ. დედოფალი სხუანი ყველანი დიდათ შეწუხდებიან და ქალები თუალებზე ხელცახოცს მიიფარებენ.) ხედავთ რა ძვირფასი განძი დაკარგა ჩუენმა მშობელმა

ქუეყანამ! მითხარით მიზეზი რა იყო იმის სიკუდილისა?

ბესარიონ. წალკის მახლობლად ვიდექით, ვიქნებოდით ორი ათასი ჩუენ, ჴელსა ქუეშე სარიდანისა და სამძღურისა დარაჯობას ვეწეოდით, ოსმალოს მამულიდგან მტერი არ გამოსულიყო. ამ ხუთის დღის წინათ დილა ადრიან ხუთი ათასი ოსმალო გამოვიდა ჩუენის სოფლების დასაკვრელად. თქუენ ნუ მოუკუდები ჩუენს თავს ბატონი შჳლო, რომ ჩუენ იმათ არ დავრიდებოდეთ, მაშინვე დავერიენით; მოვუშალეთ იმათი დასები და ჴმლის კაფვით ვდიეთ იმათ მამულამდინ, რომელთაცა წინ მიგუძღუდა სარიდანი, ღია გულით ხმალ მცემელი მტრის თავზედა, თორმეტი ოსმალოს თავების სისხლით შეიღება კაბა, კალთები და სხუა რაღა შენი ჭირიმე? (ამ სიტყუაზედ მედიდურულად დადგება, მაგრამ გულ შერყეული.)

ირაკლი. (გულზედ ჴელს დაიკრავს.) ნეტავი მეც შენთან მომკუდარიყავ ჩემო სარიდან!—ბოლოს ჩემო ძმებო?

ბესარიონ. ოსმალოს მამულის სამძღვარზედ რომ მივრეკეთ მტერი, სადაც ნახევარი ძლივს გადაგვირჩნენ, იქ სად იყო და სად არა, გამოვარდა თოფი ერთის ჯაგიდგან, მოხუდა გულში სარიდანსა და იქვე გაგვითავდა, ბატონი შჳლო ირაკლი! (და თუალებზე ჴელებს გადაისომს.)

(დედოფალი მუხლზე ჴელს დაიკრავს და ქალები ქვითინს დაიწყებენ.)

დედოფალი. ბევრჯელ, ბევრჯელ ატირდებით, მაგრამ რა უყოთ, დრო ისეთია. მხოლოდ მეორე შესაწუხი ეს

იქნება, მელანიაც თავს მოიკლავს უეჭველად.

ირაკლი. დაე მოვკვდეთ. ჩჳენი მწუხარება, ჩჳენი ტირილი ჩჳენ მკჳდრებზედა, უფრო თავს გამოგვადებინებს იმ ჩჳენი მტრების ჯავრი და ფიცხლათ მოვინდომებთ მაგიერის გადახდასა, სისხლსა სისხლი მოაქჳს და პატივსა პატივი, ეხლა ეს მითხარი ბესარიონ, გვამი სარიდანისა რა უყავით?

ბესარიონ. მოასვენებენ, თავის დედმამასთან აქ უნდა დავასაფლაოთ, ყველა ვიცით ამათი ამბავი, გუშინწინ შევიტყევით.

ირაკლი რადგან მომზადებული ყოფილხართ, წადით მოასვენეთ. (ისინი რომ წავლენ, მასუკან საფლავების მთხრელებისაკენ.) და თქჳენ პატიოსანნო კელოსნებო, თქჳენცა თქჳენსა კელობასა შეუდექით, საფლავი გათხარეთ, (მივლენ თხრას დაუწყებენ და მიწას აქეთ იქით ჰყრიან) ჩემო მოჭირნახულე გივო, შენკი საფლავს დაადეგ. კარგათ გაათხრევინე.

(გივი მივა, დაადგება და ესენი ყველანი უკან დაიწევენ კარგა მოშორებით, გულკელ დაკრეფილნი, დიაღ დაღონებით დადგებიან)

გივი, კარგათ გათხარეთ საფლავი, გესმით ძმებო?

პირველი, როგორ გნებავსთ, ძალიან ღრმათა თუ ცოტა ზევით დავიჭიროთ?

გივი. როგორც რიგი იყოს.

პირველი, დიდსა კაცსა ღრმათ შეშვენის და ღარიბსა ცოტა ზევით.

გივი. ამის მეტად არ გამიგონია ეგ.

პირველი. არ გაგიგონიათ?

გივი. არა, მერწმუნე.

პირველი. მაშ სულერთი იქნება, ცოტა ზევით დაიმარხოს თუ ღრმათა?

გივი რასაკვირველია სულ ერთი იქსება.

პირველი, მაშ რიგიანი ანუ კარგი საფლავი რა უნდა იყოს? ჩუ̂ენი კვალისამებრ ოთხს კედელს ჩავთხრით ამ მიწაში, თავსა და ბოლოს ვიწროს და გვერდებს გძელებს, პირველები იქნება ერთი ნაბიჯის ზომა და მეორები სამი, რაშიაც დიდკაცობა და სიღარიბე ორივე ერთად და ერთ გვარად, ფართოდ თავსდებიან, ამაზე მეტი ხომ არა გნებავს მოჭირნახულე გივო?

გივი. კარგათ ამბობ, ეგ არის კაცის მოთხოვილება კაცისათჳს; მაგაზე მეტი სხუ̂ა არაფერი და მაგის მეტს არას ვითხოვ თქუ̂ენგნით (ამ დროს გალობა მოისმის დამარხვისა: წმინდაო ღმერთო. ესენიც წინ წამოდგებიან, რომელნიც უკან იდგნენ, ამ დროსვე სარიდანის ცხენს შემოიყვანენ ორი შაოსანი კაცი უკუღმა შეკაზმულსა, უნაგირის ტახტაზე სარიდანის იარაღები ჰკიდია; მოიყვანენ და სარიდანის საფლავის მახლობლად დააყენებენ. ამასთანავე სარიდანის კუბოს შემოიტანენ ამხანაგები, მორთულსა და შუაში რომ მოიტანენ, ბატონიშვილი ირაკლი თავს აიღებს, გაექანება ჯერ კუბოს გადაეხვევა ქვითინით, მასუკან შუაში დაასვენებენ, მერე ერთს მუხლზედ დაიჩოქებს და მოთქმას მოჰყვება. დედოფალი და ქალები თვალებზედ კელცახოცს მიიფარებენ.)

ირაკლი. ჩემო უსაყვარელესო ძმაო სარიდან და თავ-

დადებულო მსხვერპლო მამულისაო, დაუსრულებელ დიდებაში განიმზადე თავი წასასვლელად შენის მამულის გულისხთჳს. სიხარული მამულისა თანა გამოგატანა ზედმან შენმან უმაწვილს კაცსა: წაიღე და წაირონიე. შენი სიხარული, შენი ბედნიერება, შენი უმაწვილკაცობისა. შენ გულზედ მოკუდა ამ სიტყვით: წმინდაო ღმერთო! ახლანდელო უკუღმართო ბედო ქართველებისავ, როგორ დაგწყევლო. შენი ძვირი როგორა ვთქუა, როგორ დაგაუვედრო აქვს, მხოლოდ დაინახე ეს უსულო ქართველი სარიდანი. ჩემო სარიდან! განა შენი ტკბილი ძმაჲ მეგიყავ, შენი გულშემატკივარი მამაც? აბა ძმაო რა ამბავი მიუტანო ჩემს შჳლობილს, შენს მელანიას, შენი ამბავი? უნდა მივიდე გამოუცხადო: შენი სარიდან მოკუდა ჩემის ხელით მიწა დავაყარე მეთქი. საწყალი შენი მელანია, შენი საყვარელი, ამ თქმას ხომ სასაროდ გაიგონებს. ოჰ, საშინელებაა!

(ამ სიტყვაზედ დედოფალი მივა).

დედოფალი. სიცოცხლეო შჳლო ირაკლი, გვედრები მოითმინო შენი ჭირიმე. (იღლიას დაუჭერს, ირაკლიც აჭყვება) საფლავი მზად არის?

საფლავის მთხრელები. მზათ არის (კუბოს ასწევენ და საფლავში ჩაასვენებენ)

ირაკლი. ახ ჩემო სარიდან, რა ძნელი გასამეტებელიხარ! შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახელი მარადის ცოცხალი იქნება ჩვენში (მიწას მიაყრის კიდევ ირაკლი) გმადლობ ღმერთო, შენი ნებისამებრ იყოს (მეტანიას მოშურის და საფლავში ჩასძახებს) მშჳდობით ჩემო სარო-

იდან თავის დროზედ გნახამ მეცა და ყველას გიამბობ რაც მოხდება ჩუენს ქუეყანაში (ადგება წამოვა და სხუ-ჳანიც თან გამოჰყვებიან, მესაფლავეებიც ნიჩბებით მიწას აყრიან და თან ლაპარაკობენ)

პირველი საფლავის მთხრელი. აი ეს არის კაცის დიდება, აქამდისინ ბატონი შჳლი ირაკლი, იმის დედა დედოფალი და იმათი დიდი კაცები, ამ ყმაწჳილს კაცს დასტიროდნენ გულ მტკივნეულად, განუსაზღვრებელის პატივის ცემით, ახლა ჩუენს ხელში დარჩა, ჩუენ საფლავების მთხრელების ანაბარათ; ვეშურებით დროით დავფლათ და საჩქაროთ წავიდეთ, ვაი კაცის დიდებაო, რა უბრალო მოჩვენება რამა ხარ!

მეორე მაგას აგრე ვერ ამბობ ძმობილო, კაცის დიდკაცობა კარგი რამ არის, თუ იმის დიდკაცობას დიდი გონება აქუს და იმ გონებას კეთილად ხმარობს, თუ არა და, თუ დიდი კაცი სულელია, ანუ გონიერი არის და ბოროტად ხმარობს თავის გონებასა, ღუთის საცოდავი საქმეა იმის დიდკაცობა, ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, ახლა ამ საწყალის სარიდანის ამბავი ვილაპარაკოთ

პირველი. რა ვილაპარაკოთ? ესეც უთუოდ იმისთანა ბატონი იქნებოდა და ავი კაცი, როგორიცა ეხლა ვთქჳ.

მეორე ღუთის გულისათჳს ნუ იტყჳ მაგას, ღმერთს აწყენინებ. ეს სარიდან ღუთიური ყმაწჳლი კაცი იყო. უნდა იცოდე რავდენს დაცემულსა ეწეოდა, რავდენჯერ მინახავს თავის ტანიდგან თავის პერანგი გაუხდია და გლახასთჳს მიუცია, თორემ მაგის გაცემულს წყალობასა ვინ მოსთვლის. . .

პირველი. აბა ძმაო, სულ მაგისთანა ადამიანები უნდა იყვნენ ქუეყანაზე რომ ქუეყანა ბედნიერი იყოს... ღმერთო, შენ დაუმკვიდრე სასუფეველი ამას. ძმაო ამხანაგო, ცოლი ჰყვანდა მაგას?

მეორე. როგორ არა, დიახა ჰყავს, იმასაც კარგად ვიცნობ, ისიც იმისთანა კეთილია, როგორც ეს სირიდან იყო.

პირველი რა საცოდავი იქნება, თუ ამ ყმაწვილის გაცის სიყუარული აქუს?

მეორე დიდათ უყუარდათ ერთმანერთი, მგონია ვეღარ იცოცხლებს ის ქალი.

პირველი მაშ საწყალი უბედური იქნება ისიც?

მეორე უთუოთ, აგრე მგონია. (ამ სიტყუასთან უკანასკნელს მიწას მიაყრიან საფლავზე და შეწუხებულის ოხვრით დააპირებენ გასვლას)

საფლავების მთხრელები. (ნიჩბებზე დაყუდებით)· კეთილისთჳს კეთილი გაგყვება საიქიოს, მაგისმეტი სხვა არაფერი კარგი, ამ უშიროს სოფლითგანა, სარიდან! (ახლა ნიჩბებს საფლავზე დაჰკრავენ რამდენჯერმე) გესმის სარიდან? კეთილის მეტი კარგი არა გაგყვებოდა რა, არა! (და გავლენ).

(აქ მელანიას თანაშეზრდილი, იმის საყვარელი მუსახლე კარდუა შემოვა თავ გადაგდებულის სახით, ერთი ჯოხი უჭირავს, ქალის თეთრი ლეჩაქი ახვევია ჯოხზე ბაირაღისავით და გაშლილია)

კარდუა. ეს რა უბედურება მოუხდა ჩემის ბატონების სახლსა? ახალი ჯუარ დაწერილები, ყმაწვილი კაცი და

ყმაწვილი ქალი, ერთმანეთისათჳს გაგიჟებული რომ იყვნენ სიყვარულით, რა იქნება იმათი გული, რავდენს სიამოვნებაში? იმათ ტრფიალებას და იმათს სრულს ბედნიერებას ვინ გამოსთქვამს, რომელი სიტყვა? ამ დროს უეცრად მტერმა რომ ქმარი მოუკლას, რა დაემართება იმ ქალს? ოჲ ჩემო ქალბატონო მელანიავ, მე შენი თანაშეზრდილი მოახლე ვარდუა, შენს სიკვდილს არ დავესწრობი, მე უფრო ადრე გაგიძღვები წინა, და მას უკან შენი ნება იყოს, ჯერ სარიდანის ამხანაგი, ძმად შეფიცებული ბესარიონ მოვიდა მელანიასთან დღესა და სარიდანის უკანასკნელი სიტყვა უთხრა: თუ ჩემი სულის მოსვენება გინდა ჩემო მელანიაო, ჩემს შემდგომ იცოცხლე, კარგი ყმაწვილი კაციც შეირთე ქმრათაო, თქჳნს მოსისხლეს მტერსაც ნუ დაემართება რაც მელანიას მოუვიდა, მთელი ოთხი ჟამი გულ შემოყრილი ეგდო, ამაობაში დედოფალი და ირაკლი შემობძანდნენ, იმათ რას ყოფით მოაბრუნეს ჩემა ქალბატონმა, ცოტა გული რომ მოიბრუნა, დაჯდა თავი მოიხადა, თავი მშვენიერს შავს თმასა წეწა დაუწყო და საცოდავად ატირდა, იმის მოთქმაზე გული ცეცხლით გვევსებოდა, დედოფალსა და ირაკლის მეტის მწუხარებით გული შეუსუსტდათ და გულ შეწუხებული გაიყვანეს ორივ, როდესაც დამშჳდნენ, ყველანი თავ-თავისად წავიდნენ, საიდუმლოთ მიმიხმო მელანიამ ეს თავის ლეჩაქის ბაირაღი მომცა: წადი ჩემო ვარდო, ეს ბაირახი სარიდანის საფლავზე დაურჭე. ვიცოდე იმის საფლავი რომელია, მოვიდე და იმის საფლავზე გული მოვიოხო, მე მოვალო მაღაროს ხრუდიდგან,

არავინ დამინახოს მცნობმაო, მე იმის გადაწყვეტილი სიტყუა გავიგონე ღუთის მშობლის ხატის წინა, რომ სასიკუდილოდ მოდის აქა და მინამ იმის სიკუდილს ვნახამდე მე—მე დავასწროთ. (ამასთან სარიდანის საფულავთან მივა) ჩემი ქალბატონის უსატრფიალესო სარიდან! ეს ბაირალი ჩემი ქალბატონის სიკუდილის ნიშანია, შენი ჭირიმე ბატონო (და ბაირალს საფლავში ჩაურჭობს, მასუკან გამობრუნდება, გალთიდგან ქარქაშით შიშველს ხანჯალს ამოიღებს ამ სიტყვით.) მე მე მაინც ვარდუას მემატიან, მივალ და იმ ვარდებთან გულში დავიცემ ამ სატევარსა, მე საქართველოს ქალი სიკუდილის დაურიდებელი. (ამასთანვე წავა გულ გასწყენებით, ვარდთან რომ მივა ხანჯალს ეტყვის) გამოჩენილო მტრების მდევნელო მამაჩემო ხამხამეო, ახლა გამოუჩნდება ამ შენს სატევარსა გამკვეთელი პირი! (აიღებს დასაცემად და დაიძახებს) აჰა ესეც შენი სახსოვარი მამავ, დედაჩემს რომ დაუგდე; ამაზედ მამიგონეთო. (დაიცემს გულში და წაიქცევა კიდეც. ხანჯალს გულიდგან ამოიღებს და აქეთ გადმოსტყორცნის სისხლიანსა, თვითონ ვარდებში შევა დაეგდება, რომ ვინც შემოვა ვერავინ ვერ დაინახამს, ამასთან ერთი აზნაურ შვილი საამ შემოვა, ორს ჯოხზე დაბჯენილი მოდის და შუაზე რომ დადგება.)

დაჭრილი აზნაურ შვილი საამ. მეც ვიტყუ ცოცხლებში ურევივარ მეთქი, მე აზნაურ შვილი საამ საქართველოსი, თელავში რომ მტერი დაამსხვრია ირაკლიმ, იქ ალაზნის პირზე უფრო დიდი ჯარები შეიკრიბნენ ოსმალთ ლეკებისა და ქიზიყის განადგურება მოინდომეს, ქიზიყელები

დიდს კაეშაში ჩავცვივდნენ, ეგონათ—ჩუ̂ენი აღსასრული მოახლოვებულიაო: რას ვიფიქრებდით, ამ დროს დაიძახეს: პატარა ბატონი შჳლი მოუვიდა ჩქვითი კახეთის ჯარითაო, ამ სიტყუ̂ზე ყოველმა ჩუ̂ენმა დედაკაცებმა, თავის ქმრებსა, თავის ჴელით იარაღი შეასხეს ტანზე და ცხენებიც შეკაზმული გამოჰგვარეს საჩქაროთ ამ სიტყვით; წადით, ერთს დღეს დაბადებულხართ, ერთს დღეს უნდა დაიხოცნეთ, ადრე გვიან, სულ ერთიაო, შევსხედით ცხენთა, ჩავუხედით ჩუ̂ენის ბატონი შჳლით, ნეშინის მინდორში, სადაც თავ გადადებული გაუკა მოუკვდა სამს იმოდენსა ჩუ̂ენზე მეტსა მტერთან. აბა ვიღა დაუგებოდა უკან, თჳთ ირაკლი ორჯელ შეკიდა შუა გულს მტრისა ჯარში ხმალ მოსმული და ჩუ̂ენც ცხენების თავები გასწორებული, ირაკლის ცხენის თანასწორედ შევერიენით მტერში. დავამარცხეთ მტერი, მაგრამ მე და ერთი გლეხი მქდარი, მტერთა მოგვიმწყუ̂დიეს, მე ოცდა შჳდს ადგილას დამკაფეს ჴმლითა და გლეხი თერთმეტს ადგილას, ღუ̂თის წინაშე, არც ჩუ̂ენ დავრჩით ჴელცარიელები, ჩუ̂ენც მევიკალით რავდენიმე, მარამ რა გაეწყობოდა, ისინი ბევრნი იყუ̂ნენ, ბოლოს ჩუ̂ენის ჯარის კაცებს გვპოვეთ მკჳდრებში. ორივ უგონებო, საიდგანაც საკაცით წამოგველეთ, ბატონი შჳლს ირაკლის რომ დაენახა ჩუ̂ენი საკაცე, მოსულიყო, თავის ჴელით აეწია, თავის ბინაზე მიეტანეთ, სადაც კარგი მკურნალები მოეჩინა ჩუ̂ენთჳს, აბა რაღა ვილაპარაკო, იმის მოწყალებით დღეს მეორეთ ჩავგვედგა სული ორსავ, რომელიც ჩამოვსულვარ მადლობისათჳს, სხუ̂ა რაღა შემიძლიან სრულიად დავუწჳდსა?

ის გლეხი კი კარგად გამოელდა, აღარ მორდება ბატონი შვილსა და ყველგან თან ახლავს, კაცმე რომ მეც ისე არა ვარ, მაინც იმის კარსა ამოვირთმევ სულსა, იმის კარებს აღარ მოვშორდები, ირაკლის სახეს უყურო, ბატონი შვილის ირაკლის ხასიათი მაინც ასეა, რომ ყოველს ომში დაჭრილებსა თჳთონ უვლის და მოკლულებისათჳს აწირვინებს, ვეთაყვანე შენს გამჩენსა, ირაკლი! მაგრამ სადა ზმანდება, აგი მიითხრეს იმისი აქ ყოფნა,— ეტყობა წაიძანებულა, მაშ შინ ვიახლები. (მობრუნდება, სისხლიანს ხანჯალს რომ დაინახავს, ხელში აიღებს) ვიღასაც სამღჳთო დაუკლავს, სისხლიანი ხანჯალი აქ დარჩომია და თჳთონ წასულა. (ხანჯალს კარგად გასწმენდს, ერთს საფლავზე დასდებს და მასუკან იტყჳს.) ახლა კი წავიდე ბატონი შვილი ირაკლი ვნახო. (და გავა, ის რომ გავა, იმ მაღაროს ხვრელში მელანია შემოვა, თავ მოხდილი, თმა გადაშლილი აქეთ იქით მხრებზედ და სარიდანის საფლავს რომ შემოხედავს, იქვე ჩაიშლება და შიგ მაღაროს კედელზედ მიესვენება თჳალ დახუჭული, შემდგომ, ცოტათ რომ მოიბრუნებს გულსა, ადგება იმ მაღაროში წამოვა თავში ცემით, თმა წეწითა და იმ მაღაროდგან რომ გამოვა, დაიძახებს.)

მელანია. ვაი ჩემს თავს, ჩემო სარიდან! ნაცვლად მე და შენი ვარდულად შეღიმებისა და იადონებრ შეხმოვანებისა, ახლა ზარ ახდილი მოვდივარ შენს საფლავზე. სადაც ჯოჯოხეთში სამუზიკოს ხმას რომ სცემენ წაწყმედილებისათჳს, იმ ხმას მიეგვანება ეს ხმა. (მივა და საფლავის თავს დაიჩოქებს) მე უბედურო მელანიავ. აბა

სასიკჳდილო დრტვინვა ამოუშვი· ჩემო სარიდან, ეს სიტყჳა რა ძჳრფასი სიტყჳაა ჩემთჳს! შენი სახელი მე არ მინდა გავწყვიტო, მინდა დაუღალავად ვიძახო—სარიდან! სარიდან!... სხჳა რა ნუგეშიღა დამრჩენია, ამის მეტი, რომ შენი სახელი უნდა მოვიგონო, შენი მშჳენიერი ყმაწჳლკაცობა, შენი გონიერი თავი, შენი საუცხოვო სიტყვიერი ენა, შენი გაცეცხლებული სული, საშინელის სურვილით რომ უყვარდა მელანიას! ნაცვლად მე და შენი ბედნიერის სიყჳარულისა, ახლა ნაღველა ამამძახის: მოკჳდი, მოკჳდი მელანიავ, შენ ამ სოფელში კეთილს აღარას ნახავ, სინამ სიყჳარულის ვნებას დაგადნობდეს და ტანჯვით მოგკჳდეს, სჯობია ადრევე მოიკლა თავიო. ჩემო სარიდან! შენ რა ჴელი გაქჳს მაგ საფლავში? მე რა შენი შესაფერი ტირილი ვიცი? მე უნდა ვიწვე შენ მაგიერ მაგ საფლავში და შენ სტიროდე უბედურობით მეხ დაცემულს, შესაბრალისა მელანიას. ღმერთო! აბა ჴელი გამოიღე, ამ ჩემს გულსა შეახე, რას ამბავს გაიგონებ? მაშინ ილმობ რაც არის უბედური მწუხარება, თორემ ეხლა რას შეიტყობ, ყოვლის დიდებით და ყოვლის ბრწყინვალებით შემკობილო ღმერთო! ჯოჯოხეთო, ჯოჯოხეთო! შენი ადრეულება მოიმზადე, მე სასუფეველი აღარ მინდა, მინდა მოვიდე, მაგ შენს აღგზნებულს ცეცხლში ჩამოვაგდო ჩემი სული და შენს ანთებულს კუპრის სიღრმეში გვნესავდეს და ვიოდეს შეძრწუნებული. გევედრები ჯოჯოხეთო, რაც საშინელება შენს მიდამოს ხრეში იყოს, სულ ერთიან ჩემს სულს მოუსიო და ყოვლის სატანჯველით სტანჯო, მაიცა ღმერთო, მეც ამ შენს მოცემუ-

ლს სულზე გადეიხდი მაგიერს, მე აღარ მინდიხარ ღმე-
რთო, აღარც შენი სასუფეველი, ორივესათვის უარი მიყვია,
უშენოთ ჩემო სარიდან, ღმერთიც და სასუფეველიც ჩე-
მთვის ბრაზია. მე უსამართლო და უწყალო ღმერთო,
რად გამამაცალე ჩემი სიცოცხლე სარიდან? ეს რომ წა-
მართვი, ამის ნაცვლად რას მაძლევ, რით ვინუგეშო, რით
ვიცხოვრო? მეც ხომ ადამიანი ვარ, აბა ამის პასუხი მა-
მე, ოჰ, ღმერთო, ღმერთო! (მუშტს გაუძლის და დაი-
ქნევს რამდენჯერმე, მასუკან დაიჩოქებს, გულზე ხელს
დაიწყობს და ზეცას შეხედავს) ღმერთზე უდიდესი აღა-
რავინ აღარ ხარ უფსკრულის ზეცაში? გულ დაჭრილი
ჩემი საჩივარი გაიგონე, ღმერთო მიიხმო და შენს სა-
მყაროში ჰკითხო; რომლის მართლ-მსაჯულებით აღარა
მყავს სარიდან? განა მისთვის გაგვაჩინა რომ ყმაწვილო-
ბითვე უბედური ყოფილვიყავით, ამ საწუთროს სოფელში
ჩვენ? არ დაგვაცდილა რომ ეს სოფელი ჩვენც მოგვე-
ჭამა ჩვენი ყმაწვილობის შესაფერად? ეს არის იმის სა-
მართალი, იმის მოწყალება? (ამასთანავე საშინლად დაიგი-
გლეჯს.) ჰოი! . . თუ ღმერთზე უდიდესი იყო ვინმე,
გამოჩნდი და სამართალი მიყავ, (თვალი ზეცაში დარჩება
და მასუკან გადაიქცევა დასუსტებულად, მერე მოსურიელ-
დება, წამოიხედავს. საფლავს გადახედავს, ხანჯალს დაი-
ნახავს, წამოხტება და დაიძახებს) ჩემ სამართალს მე გა-
დავწყვეტ. (ამასთანავე გაექანება, ხანჯალს წამოავლებს,
აჯავრებული მაღლა შესტყორცნის და შესძახებს.) მე,
ჩემო მოსისხლეო ან გბაო ნეტავი შემეძლოს ჩაგიგდო
და ჩემს კბილებ ქვეშ დაგღეჭო (კბილების ღრჭენას შე-

იქმს, პატარა ხანს უკან ხანჯალი წამოვა, ამას ეგონება სისხლიანი არისო და დაიძახებს) ოჰ, ოჰ! ხანჯალი სისხლიანი მოდის, (ხანჯალი მოვა და ადგილზე დაერჭობა, ამაზედ ეს შეკრთება და ზეცაში თვალი დარჩება ამ სიტყჳთ.) ოჰ! რასა ვხედავ? ზეცა გაიხსნა, იქიდგან გადმოდის ეს სისხლი, (და დედამიწაზე დაეცემა) რა ქნა, ამ საცოდავს გულსა საშინლად უყჳარს სარიდან და იმისმა გადარეულმა სიყჳარულმა მაგმობინა ღმერთი! (დედამიწაზე დაემხობა, მერე წამოდგება და ზეცაში შეხედვით), ღმერთო, გმადლობ! სისხლი შესწყდა, ჰგავს რომ მამიტევე ჩემი დაუხედავი შეცთომილება, ვინ მიხჳდება შენს საკჳრველს საქმეს ღმერთო! აი, ზეცა კიდევ გახსნილია, ზედ სარიდან გადმომდგარა,—ჴელს მიქნევს: აქ მოდი, აქ მოდიო, ჰგავს ღჳთის ბძანება ასე არის, მე და სარიდან იქ უნდა ვიყჳნეთ, ამ სოფლისანი არა ვართ ჩჳჱნ. (ამასთანვე შესძახებს), მოვალ, მოვალ ჩემო სარიდან, ჩქარა გნახამ, (გამობრუნდება, ხანჯალს შორს გასტყორცნის და დაიძახებს,) ნეტავი იცოდე სატევარო, რა რიგად შემძაგდი მე, მე ზეცის მავნებელო, შენა, (მასუკან სარიდანის საფლავს რაკდენჯერმე აკოცებს ამ სიტყჳთ), შენ გენაცჳალოს ჩემი თავი სარიდან, კიდევ ბედნიერნი ვიქნებით, კიდევ შევიყრებით ერთად.

(და ეკლესია რომ არის კლდეზე, იმის მხრისაკენ გავა საჩქაროთ და უკანიდგან კიბეზე ასვლას დაიწყებს უჩინარად, ამ დროს თავ მოშვლეპილი შემოვარდება მელანიას დედა)

სიდონია. (გაშფოთებული კივილით.) შვილო, შვილო

მელანიავ, სადა ხარ? სად დაიკარგე? ცამ ჩაგყლაპა თუ დედამიწამ? მკჳდრებო, მკჳდრებო, მითხარით სად არის ჩემი მელანია? ამისთანა იქნება საქმე რა იქნა? ვაი ამ ჩემს თავს! ჩემი მოხუცებული გამდელი მოვიდა მითხრა: ქალბატონო, მე ყურს უგდებდი, შენი ქალი სარიდანის საფლავზე წავიდა, მიეშველე თორემ უბედურებას შეიმთხვე-ვსო. წამოვხტი და გიჟსავით გამოვიჭერ, ახ, სად არის? მიშველეთ რამე თქჳენი ჭირიმეთ. (ამასთანავე სარიდანის საფლავს მივარდება, ორის კლდით გაშფოთებული მიწასა ჯვრის და ზედ დასძახის), სარიდან, შვილო სარიდან! შენი მელანია რა იქნა? დედის ერთა, შენი უსაყუარელესი მელანია? ვინ შეჭამა, რომელმა ვეშაპმა ჩანთქა? სარიდან, შვილო სარიდან, შენ გეთაყუანოს ჩემი თავი, მითხარი მელანია რა იქნა?

(ამ სიტყუასთან ეკლესიის კედლის მაღლიდგან გადმოდგება).

მელანია. დედავ, რა ამბავია, რა ყოფა გაქჳს?

(სიდონია გაექანება, იმის წინ ქვემოდგან დაუჩოქებს.)

სიდონია. შენი ჭირიმე შვილო, რათ წამოსულხარ, რა გინდა აქ?

მელანია. ჩემო საყუარელო დედავ, ჩემი ჟამი მოახლოებულა.

სიდონია. როგორ თუ ჟამი?

მელანია. სარიდან ზეციდგან მეძახის: აქ მოდი ჩემო სიცოცხლეო, ჩემო მელანიაო.

სიდონია. ქა გენაცვალე შემცდარს, სიყუარულს როგორ აუტანია! (მუხლებზედ კლდის დადებით) მელანიავ, მე-

ლანიავ! ამ შენს მუმუებს პატივი ეც. ამ შენს გამზდე-ლებსა და ნუ გაიუბედურებ თავსა.

მელანია. დედავ, დედავ! ასა ჩემი სიცოცხლე რაღა იქნება, მე დარწმუნებით ვიცი უთუოთ დავჭლექდები, ჩემი ხანიერი სნეულებით თქჳენ უნდა შეწუხდეთ, თქჳენ ტანჯუას უყურო და მე ბოლოს მაინც მოვკჳდე, მინამ ხანიერის სნეულობით მოვკჳდებოდე, ეხლავ რომ მოვრჩე, უფრო კარგი იქნება, (ამასთანვე ორსავ ჴელებს გაიშლის), ჩემო უსაყვარელესო მშობელო მამულო, ჩემნო უსასურველესნო მემამულეთ ქალნო და ძენო, და ჩემნო უუსაყუარელესნო დედ-მამავ, ესსარის გეთხოვებით ყველას, მშჳდობით, ჩემს სარიდანაან მივდივარ და ერთობი თქჳენს ბედნიერებასა ღმერთსა ვთხოვ ცუდ მხურვალეს ვედრებით

(ამ სიტყუასთანვე ეკლესიაში შევა აქ საშინლად დაიკივლებს.)

სიდონია ვაი ამ ჩემს თავს, ავიდე. ეგება მიუსწრა და თავი არ მოვაკჳლევინო, (და კივილით გავარდება) მელა-ნიავ. შენი ჭირიმე მელანიავ, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი ნუ მოიკლავ თავსა, მელანიავ, მელანიავ! მოიგონე ღმე-რთი! (და ესეც იქით მხარეს ავა ეკლესიასთან, მინამ ეს ავა, მელანია ეკლესიიდგან გამოვარდება და ფრიალოს კლდეზედ თავს გადმოიგდებს, ამ დროს სიდონიაც ავა და კლდეზედ კივილით გადმოდგება) თქჳენი ჭირიმეთ, რასა ვხედავ? ამ ფრიალოს კლდეზედ გადავარდნილა! ვაი

ამ ჩემს თავს! დიდრონი კლდეები თან ჩაიტანს საშინელის ჩახა-ჩუხით, მიდის და მდინარეს მტკვარში ჩავარდა მკჳდარი, ღმერთო ეს რა საშინელებაა! (ამასთან ეკლესიაში შევარდება და კივილით დაიძახებს ) ღმერთო, ჩემი სულიც მიიბარე, მეც შენთან მოვდივარ, (ამ სიტყჳასთანვე გამოვარდება და ესეც კლდეზედ გადმოიგდებს თავსა, შემდეგ ამისა რევაზ მოდის ცივის გულით აუჩქარებელი )

რევაზ ეხლახანს გამიმჟღავნეს საზარო ამბავი! დიდი კაცები! დიდი კაცები! ესეც დიდი კაცები, აი ორი დიდი კაცის სახლი ამოწყდა და მოკრჩით, ნურავინ ნუ იტყჳთ—დიდი კაცი ვარო და ამით ნუ გაამაყდებით, არავინ იცის, იქნება შენი დიდკაცობა ორს წამში ასე დაეცეს, რომ შენი საფუძველიც აღარ გამოჩნდეს, აი როგორც ჩჳენი ორი სახლი, აბა სადღა ჩანს ჩჳენი დიდკაცობა? ამ ცოტას ხანში, ჩჳენი ორი სახლი ასე დაემხო, ერთის სახლისა ამ საფლავების მეტი აღარა ჩანს რა, მეორე სახლისა დედა შვილნი იმ კლდეზედ გადაცვივდნენ; მხოლოდ მე დავრჩი ერთი ღერი კაცი და მეც ამ ცოტას ხანში იმათ შევუდგები, რახან ასე მოხდა, მაშ ჩემი სიკჳდილი უფრო სხჳა გჳარი სიკჳდილი უნდა იყოს, სხჳა უმაგალითო, რაც ჩემს კაცობას ეკადრება, თორემ მახვილით ერთი არაფერია, ანუ კლდეზე გადავარდნა ახალი არ არის საქართჳელოში (გამობრუნდება და დაიძახებს), ჩემო გაზდილნო ჩემო მეგობრებო, ჩემო პატარა ბიჭებო! (ოთხნი პატარა ბიჭები ოთხნი პატარა უმაწჳლი მოსამსახურე შემოვა ) რაც გი-

თხარით მზათა გაქჳსთ?

ერთი იმათგანი ნინია. მზათ გახლავსთ ჩუჱნო ბატონო, (და დალონდებიან)

რევაზ. წადით შემოიტანეთ!

(ამ სიტყვაზე მუხლებზე მოეხვევიან მოსამსახურები.)

ნინია შენი ჭირიმე ნუ მოიკლავ თავსა. ასეთი არა მოგხდენიათ რა, რომ არ მომხდარიყოს.

რევაზ ჩემო ძმებო! ამაოდ თქუჱნი თხოვნა. გადავწყვიტე, უთუოდ უნდა მოვიკლა თავი (ოთხსავ ქედით ასწევს ამ სიტყვით) წადით ძმებო შემოიტანეთ, ნუღარ ჰყოვნით.

(ოთხნივ დაღონებული გავლენ)

რევაზვე წავდგები ღჳთის წინაშე წმინდის სვინიდისით, მაგრამ ვიცი დამაყვედრებს ჩემის თავის ძალათ სიკჳდილს, მაგრამ ესეც ვიცი თჳთონვე მაპატიებს, ადამიანსავით სულ მოკლე არ არის ის, იმან იცის, ადამიანი როგორი მცირე არის ყოვლის ფრითა, როგორი ვიწრო გული აქვს თმენის მოუთავსებელი, ამის იმედი მაქჳს მე, რომ ჩემსა სუსტსა და მოუთმენელს გულსა მოუტევებს მოუთმენელობასა (ამასთანავე ერთს დიდს გოდორს შემოიტანენ მოსამსახურენი, თლილი ქვით სავსეს და შუაში დასდგმენ.) ამ შუა ადგილს დავდგები, ასე რიგად უნდა ამქოლოთ ოთხსავ კუთხივ გაწყობილი, რომ თანასწორე შენობა მოვიღეს.

ნინია. სული შეგიგუბდებათ, საშინელის ტანჯვით მოკვდებით.

რევაზ ნუ მეტყვით მაგას, ჩემთჳს საშიში არა არის

რა, მოიტანეთ, დროით ამქოლეთ. (გოდრიდგან დიდ ქვას ამოიღებენ)

რევაზ. მარჯვენეს ფეხის გვერდთან დასდევით: (დასდებენ და წელამდისინ მოვა) ეგ ფესი აგრე რიგათ ვერ გაამღობს მატლებს, აქეთ მხარეს ახლა (იქით მხარეს მარცხნივ დასდებენ მეორე ქვას ეგრევე წელამდისინ და ორივ ქვები შეიკვრიან ერთმანერთში) ეგ მარცხენა ფეხიც ფუქსავატია იმათთვს, ახლა კიდევ მარჯუენა გვერდზედ (მესამე ქვას ამოიღებენ და ყელამდისინ მოვა) ეგ ტანიკი კარგს ნადიმს გაუშლის მატლებს, აბა ახლა მარცხენას მხარეს. (მეოთხე ქვას მიიტანენ, დასდებენ და მარტოკა თავი დარჩება ზეკით.) აბა ეგ არის კარგი ხვედრი წილი იმათი. ჰა კარგათ დაინახეთ: ეს არის კაცი? აჰა, ესეც კაცი. მაშ ეგ უკანასკნელი გუმბათიანი ქვაც აიღეთ ჩემო გაზდილებო, გაბედვით დამადგით თავზე, კელი არ შეგიკრთეთ.

ნინია რას ბძანებთ ბატონო? ღუთის საწყენს ნუ შვრები, იმისი წინააღმდეგია ეგა.

რევაზ იმისი საწყენი და წინააღმდეგი ის არის, რომელი გისაც აწუხებს უსამართლოთ. მაგრამ მაგ გუმბათზე ქრისტიანობის ჯუარი რომ არის, სათუშქელი ის აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნეთ, პირი იქითკენ მქავით. ყოველი წყალობა ღუთისა აღმოსავლეთში სუფევს, ის არის იმისი სამეფო!..,

ნინია. ამ შენს ოთხს გაზდილებს, ნუ დაგვაობლებ მაინც, როგორც ჩუენ ობლები შენის დიდის ჭირნახულით დაიზარდენით, ისე გვაპატიე, ისეკ მოგვეცი შენი

სიცოცხლე ჩუენ.

რევაზ. ჩემმაგიერ მიდით ბატონიშვილს ირაკლისთან, ყოველი ჩემი ამბავი უამბეთ, ის არ დაგაგდებთ, იმისი გული მოწყალებით სავსეა, მაგრამ მამულს და ირაკლის ერთგულად ემსახურენით, თქუენს უკანასკნელს სისხლს ნუ დაზოგავთ, როგორც თქუენის მამულისათჳს, ისე ირაკლისათჳს, ნურას შემთხვევაში, ახლა ირაკლის კელის შემდგარა მამული და ირაკლიც იღვწის, იტანჯება მისთჳს, დაუბრუნოს უფლებანი თამარისა. გესმით ძმებო, გაიგონეთ?

ნინია. გავიგონეთ, თქუენი გაზდილები ვართ ბატონო.

რევაზ. მაშ თუ გაიგონეთ, ხანს ნუღარ გამოუშვებთ, ჩქარა დამადგით გუმბათი თავზე

(უნებურად ასწევენ იმ პატარა გუმბათს, თავზე დაადგმენ და ჯუარსაც გაასწორებენ აღმოსავლეთისკენ, მაგრამ მაინც კიდევ ჩასძახებს )

ნინია. ბატონო, შენი ჭირიმე, აგართმევ გუმბათს.

რევაზ. (მაღლის ხმითა) ნუ, ნუ, თქუენ ნუღარ დადგებით, საჩქაროდ წადით. ჩემთჳს ნუ ინაღვლით, მშჳდობით ძმებო

(ესენი წამოვლენ კარგა მოშორებით მწკრივად დადგებიან უკან გაჩუმებული და ერთმანერთს კელით ანიშნებენ აქ ვიყოთო )

აქოლილი რევაზ. (იძახის) საწყალო ჩემო ცოლშჳლო ანუ ერთიანად ჩუენო ამოწყვეტილო მოყვრებო. თქუენც იმ სავანეში ჩასკვდით, იმ საუკუნოს სახსენებელში გაჰქრა ყოველი ჩუენი ბედნიერება, სადაც სიკუდილი ფუ-

ფუნებს ყოვლის განცხრომითა, სადაც სიბნელის სიცხო-ვლე ანთია, რომელშიაც სიღარიბის სიმდიდრე სტკმება და სიმდიდრის სიღარიბე თავსა იწულავს? იდღესასწაულე, იდღესასწაულე. მანდ ამოთხრილს შავს მიწის საფლავში სიკჳდილო! სხჳა დიდების ტახტი არსად არის შენი, არის ეგ, დაჰკარ ჩანგო, დაჰკარ, ემანდ კმაყოფილებით შენი დაწყნარებული, დამჯდებული კმოვანება, სადაც უსულო სულიერად სცხოვრებს და დამწყვდეულის სანა-თურიდგანა უკრავს ჩუმსა მუსიკასა, იმ მუსიკას, რომე-ლსაცა დაჰყვედრის საწუთოსა. მოვიდა, მოვიდა ის, ჩე-ში დროცა მოახლოვდა, მასპინძელი აქ არის, აქ დაგ-ხვდება, აბა დაარაკუნე კარი, როგორი ჩემის პურადობით დაგხვდები შენ! შეკრთი? აგი გამბედავი სულთა მხუთავი წინ გიძღოდა გამწვეტებულის რვალის შუბით? სად არის იმისი შეუცთომელი მორბედობა? ახლა აქ შემომეპარე, აქა ჩემთან? რაღა მიჭყეტ თვალებს შეშინებულს? მო-დი მომეხვიე, შენთან ერთად შობილს, შენთან ერთად დაბერებულს, ჩემო განუყრელო ამხანაგო, შენ სიკვდილის დაო, ძმაო, სულო-ხორცო! თქჳენს გარეში მაინც რ-ჩება ჩემი მამულის სიყვარული აქა, ღვთაებისაგან ჩემის დედის მუცელშივე გამოსახული ჩემზედა, გესმის ასეთო წმინდაო სიყვარულო? არსად არ გაჰკვიდე აქედგან; გარს. გარე შენს მამულსა, როგორც გვრიტი ბღარტებს თვისსა, ახლავე თავს დაგიგრავ, გამოეთხოვები ჩემი გო-ნებისაგან განუყრელო, მხოლოდ ერთო საგანო ჩემო, მამულისა სიყჳარულო! მშჳდობით, მშჳდობით იყავი აქა! შენკი პირს გარიდებ, შენ ტანჯჳაო! შენ ყოფილხარ

რაცა, თორემ სიკუ̂დილი არა ძნელი, ოჰ, საზარელო, საზარელო ტანჯვაო სიკუ̂დილისაო! გულსა მომებჯინა ყელში, მახრიალებს, სული შემიგუბდა, ჰჰა, აჰა მოვრჩი, დავახვიე ჩემი სიცოცხლის გორგალი სრულად

(უკანასკნელად სამჯერ კიდევ დაიხრიალებს ყელიდგან და მოკუ̂დება კიდეც, ამ ლაპარაკში იმისი ოთხი მოსამსახურე გულ-კელ დაკრეფილნი იდგნენ, თავ ჩაკიდებულნი დაღონებით და გაჩუმებული ისმენდნენ იმის უკანასკნელს სიტყუ̂ას, უკანასკნელად ეს რომ თქო: ჩემი სიცოცხლის გორგალიო და ამასთან სამჯერ რომ დაიხრიალებს, ყ''ენი გაექანნენ და ნინიამ მაინც კიდევ ჩასძახა.)

ნინია ჩუ̂ჱნო ბედნიერებაო ბატონო, კიდევ ამოიღე კმა (კმა აღარ არის). დაიფშვინე მაინც, შენი სიცოცხლის ნაპერწკლის კმა გავიგონოთ მაინც (და ყურს მიუგდებენ) ახა ვაი ჩემს თავს, მომკუ̂დარა, (და იმის საქოლავს დაუჩოქებენ ორი აქეთ და ორი იქით საქოლავის ცოტა წინ,) ნინიაკე. დალოცვილმა სად მოიკლა თავი, როგორის სიკუ̂დილით? ვერ მიმკუ̂დარვართ, ღმერთო შეიწყალე ამის სული, რა კარგი სახლეულობა დავკარგეთ, ახლა რაღა გაეწყობა, როგორც ჩუ̂ჱნმა ბატონმა გვიბძანა, წავიდეთ ერეკლეს ვიახლოთ. მამულო და პატარა ბატონო ერეკლე! ჩუ̂ჱნი უმანკო, უცვლელი ჩუ̂ჱნი დაობლებული ყმაწჳლობიჭობა თქუ̂ჱნი ჭირისანაცვლო იყოს ორივესა. წავიდეთ ბიჭებო, წავიდეთ, თავი დავდოთ ქართუ̂ჱლებო!

და ფარდა ჩამოეფარება.

დასრულდა.

## საქართჳელოს გაზაფხული.

ნიმფნი რხევით სეირობენ
ასფოდელსა დარაზმულნი;
ყვავილთ სწყვეტენ ნაზათ სტრფიობენ,
ყნოსვენ სუნთა სიხარულნი.

ნორჩებზედა გაზაფხული,
დასწრწის სუფთად ხან დაზმული,
დააკვდებათ შეკონილი
მღელვართ სიოთ სიყვარულნი.

ეფირ მდელოს მოეფინვის
სიამითა შეეხვევის,
იქ ფოთლებში მოიბზინვის
შარავანდი მხიარული.

კარგნი ჩიტნი ჭიკჭიკობენ,
ხმის წყაროთი მოესხმობენ.

წვრილად, წყნარად გულთ იდნობენ
სურვილითა შელამქრულნი.
მუზნი ეთერთ ცეცხლთ ისვრიან,
საწყალთ ამურთ გულს აერიან,
სულს შეწირვით კვლად შესტრფიან,
ტრფიალებით გაბასრულნი.
ცა, ქვეყანა, სულიერი,
გაზაფხულსა შეესარვის,
ამ დროს რომე კაციც ბერი
მოკვდეს, ვფიცავ, ცოდო არის.

თ. ალ. ვახ. ძე ჭ. ორბელიანი.

1824 წელსა

---

## წინათ გრძნობა.

ზოგჯერა სოლმე, არ ვიცი რათა,
ბედი მამივლენს უეცრად დღეთა
როს დაღონებულს
სევდათა შეცულს.
სიდგან არ ვიცი უხილავ ძალით,
უცებ ნუცებ ნუგეში მე მამეცემა.

მაშინვე თითქმის სევდა ნაღველი,
შეუვსეულად მე განმექარვება—
და სულის ძალა განმენათლება,
ოცნება მყისვე მხიარულებით,
ზეციერ სხივით შემოსება!. . .
მარამა უცებ სოფლის ცვლილება,
უცებ მომილებს ფიქრთ ნექტარებას,
გარ შემომზღუდებს უცებ სიმრუმეს,
აღარც იოტსა აღარ მინათებს.
მაშინვე უცებ ყრუდ ხმა შემესმის,
რომე იგ სახე მხიარულების,
თურმე არ იყო ამიერ ქჳეყნის. . .

**1855** წლისა.

ლ. ს. სამცხელი.

---

## განდევილი.

(ლერმონტოვით)

უდაბურს ალაგს ხეობაშია,
სად დაშჳენოდა ტურფად ბუნება
იყო საბერო ტყიანს მთაშია
და აყრილებდა ჭაეროვნება.
მცირე მდინარე წინ მოურბენდა
და ჭახჭას მისა ხეობა მღერდა
კიდესა მისა მაუსულაებით

იდგნენ საამოდ ხე ნაყოფებით,
შორს, შორს, შევასწარ შენობას თვალი,
და გავარჩიე რა მისი კვალი,
ვიფიქრე ნახვა იმა ალაგის,
მრთელის ხეობის, მერმე ჭალაკის·
როს მიველ, ვნახე ვინმე მოხუცი,
მარამ ჯერეთ ჰჩნდა კვალად მამაცი.
მას განშორებით დაედგა ქოხი
და ამხანაგათ ჴელთ ეპყრა ჯოხი.
შევატყე იყო შეწუხებული
სხჳა თემის ხალხით დაობლებული,
და როდეს მნახა, მოხუცსა გული
ამოუჯდა მას, იწყო ტირილი.
თუმც გამომართვა უცნობლად ხელი
და ცრემლის ღვარიც ჩამოხდა ცხელი,
ბოლოს დადუმდა მითხრა ყოველი
თავის ცხოვრების დარდასავალი,
განდეგილ იყო ამიერ სოფლით,
და მოხუცსა მას თავისის ოფლით,
მცირე ნაკადის კიდესა წინა
იქ საუკუნოთ დაედგა ბინა!

თ. მიხ. ფავლენოვი.

# სიკსტი მესუთე.

## ბოლო მოუღებელი კომედია მრავალ მოქმედებად.

### მოქმედნი პირნი:

იოაკიმე მასხარამე სამოცის წლისა.

ბეჟან თავფქვლამე ორმოც და ათის წლისა.

რევაზ თავში ქუ̂ამეკს, ოც და თხუთმეტის წლისა.

(ეს სამნივე ერთმანერთის დიდი მეგობრები, კარტოფუნიკები (ქაღალდის მოთამაშენი.)

ბრიუვისახარ, გოგო იოაკიმესი ცალთუ̂ალა

(მოქმედება არის სოფელს ჯანდამს, ქაჯეთის ქვეყანაში.)

(სცენა წარმოადგენს ნახევარ ევროპიულ მებილებით მორთულს ოთახს, რომლის დიდროანი ფანჯრები გადასცქერიან მეიდანს, ოთახში შესავალს კარებში მარცხნივ მხარეზედ დგას სამწერლო სტოლი საწერ კალმით გაწყობილი, პირ და პირ ფანჯრის წინ დგას პრუჟინიანი მდივანი ტუავ გადაკრული, მარცხნივ მხრივ კედელთან კრაოტია ქვეშაგებ დაგებული, რომლის თავზედ ზარის ჩამოსაწკარუნებელი თოკია ჩამოშვებული ფუნჯით და იმავე კედელზედ ტილოზედ დახატული ფორთრეთი ჴკიდია «მიმოვალის ურიასი» (**Вечный жидъ**) სიუს თხზულებითგან,—ამ ფორთრეთის გვერდზედ ოქროს კა-

რაყიან ჩარჩოში ჩასმული დიდი რკეული ჰკიდია, რომ-
ლის ქვემოთ ვარაყიან ასოებით აწერია «სიქსტი მეხუთე»
ნათარგმნი ალმსტემბულერის ხარისხში მყოფის იოაკიმე
მახარაძისაგან.» კრაოტზედ ღრმად სძინავს და ხვრინავს
იოაკიმე მახარაძე, ფეხთით ბალიშები დადებული აქვს
და ზედ გასიებული ფეხები უწყვია, ერთის სიტყვით ნე-
ბივრობაში და განცხრომაშია )

იოაკიმე (ძილში ბოდავს) და . . . დაჭკვა . . . და . . .
არი . . . ვისტ . . . წა . . . ვაგე . . . ა ! . . (უცებ გამო-
ეღვიძება, თჳალებს მოიფშვნეტს და წყნარა გვნესით წა-
მოჯდება) უჰ, მადლობა ღმერთს სიზმარი ყოფილა და
არა ცხადი, ოც და თორმეტი, თუ ცამეტი თუმანი, მრ-
თელის ერთის თჳს ჯამაგირი ეს იყო წავაგე რაღა, სულ
ის წყეული ჩემი, ბეჟან თავქვილაძე კი არის მიზეზი, რომ
არ მეშვება: დავბერდი, მოვუძლურდი, ფეხებს ძლივღა და-
ვათრევ, და კიდევ არ ვეშვები ამ წყეულს ქაღალდის თა-
მაშობას, — არა თქუენი ჭირიმეთ, რაღა საკადრისია ამ
წლოვანობაში და ამ ხარისხში მყოფისათჳს ასე ქაღალ-
დისათჳს გალოთება; ეს ოთხი წელიწადია ვცდილობ კე-
ლი ავიღო, მაგრამ ეს წყეული ეშმაკი რომ არ მეშვება;
ტყუილათ კი არ მითხრა ერთმა. სიმთვრალესაც მოიძუ-
დებს კაცი თავის სიცოცხლეშიო, აშიკობაც დაბერდება
და გაცვდება, — ქაღალდის მოაშიკე, ღმერთმა დაიფარო-
სო, მართლათაც, აქ თუ ბოროტი სული არ არის გარ-
ეული მე სულ არა ვიცირა, მე და ჩემა ღმერთმა აღრი-
ნდელზედ ცოტათი კი უკელი, ამის მიზეზი სულ ეს ჩემი

(მიუბრუნდება რვეულს) სიქსტი მეხუთეა, მაგრამ იაფათ კი არ დამიჯდა ამაზედ შრომა, ხუთი წელიწადის შრომას ვეწევი, გადმოვთარგმნე. გადავაკეთე, გიდმოვაკეთე, შჳდ-ჯერ თუ რვაჯერ გადავაწერინე ჩუ̂ტნის კანცელიარიის მწერალს ბარაქალაძეს და აი, ახლა მადლობა ღმერთს ძლივს სისრულეში მოვიდა ეს ყოვლად დიდებული თხზულება, მერე რა ენით არის ნათარგმნი! იმ განსვენებულის თარგამოსის დროს რომ ქართული ენა სუფევდა, იმ ენით აი! ხვალა სთარგმნიან ახლანდელი ჩუ̂ტნი მჩხაბავები, როგორ არა წერა ის კი არ არის, რომ ბაყალსაც ესმოდეს როცა კითხულობდეს, წერა ის არის, გაიგოს მხოლოდ იმან, ვინც ჩემსავით ნასწავლია და ყოველს ხლინკის საქმეში დახელოვნებული, მაგრამ ეს არის უბედურება, ვინ არის ჩემისთანა ნასწავლი, რომ ამ გვარი მიუწდომელი საგანი გაიგოს!—ეს ჩუ̂ტნი ქართულის ჟურნალების რედაქტორები ხომ ღმერთმა შეინახოს, არც ერთმა არ იცის ის ყოვლად სანატრელი თარგამოსის ენა, ერთს იმათგანს გაუგზავნე და უბძანე დაებეჭდა, წარმოიდგინეთ რა გულ წრფელებით აღვუარებია თავისი უცოდინარობა და რა ფასი დაუდვია ამ თხზულებისათჳს, სწორე მოგახსენოთ მე არ მეგონა, თუ ასე მოეწონებოდა, წითელის კარანდაშით ზედ დაუწერია, ეს კი მიუქარავს, ამისათჳს რომ აღმატებულების ხარისხში მყოფს ამ გვარს რეზოლიუციას წითელის კარანდაშით დაწერილს არ აკადრებენ, მაგრამ არა უშავსრა, დღეს არის თუ ხვალ გადაუხდი, ჩემ სიცოცხლეში თექვსმეტი კაცი მამიკლავს, ხანჯლითკი არა, ხანჯლით ღმერთმა დამიფაროს, ამ სას-

ტიკ მახვილით ვერც თუ თავს მოვკლავ (აქეთ იქით იყურება შიშით) მოქმედებით, მხოლოდ მოქმედებით, და ესეც მეჩვიდმეტე იქნება, აღმატებულს პირს რა არ შეუძლიან ამ დროში! დიახ, ზედ დავწერა ჩემს მშვენიერს თარჯმანზედ. ეს ნათარგმნი და თხზულება ისე მაღალ მჭევრ მეტყველებით არის ჩაწერი, რომ აფსუსია ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდოსო, ისე სუსტია ეს ჟურნალი, რომ ამისთანა მაღალ ნიჭიერს ვერ აიტანსო აი ყოჩაღ! რაც მართალია, მართალი უნდა იყოს,—მაგრამ წითელის კარანდაშით რეზოლიუციის დაწერაზედაც, მიფრთხილდი ბატონო რედაქტორო, დღეს არის თუ ხვალ..... ეს ვინ დააწკარუნა ზარი, უთუოთ კიდევ მოდის ვინმე ქაღალდის სათამაშოდ, ამ დილას ადრიან რა ანბავია, ვერ გაათენებდნენ!

## გამოსვლა Ⴃ.

ისივე და ბრიუვისახარ, ბრუციანი გოგო.

ბრიუვისახარ. ბეჟან გახლავს შენი ჭირიმე, (თავისათვს.) დასწყევლა ღმერთმა ეს მეორე თვალიც. როგორღაც მებლანდება, ამ ეშმაკის და ბოროტის კელში რა არ დაემართება კაცს (მაღლა,) მიბძანებთ შემოვიდეს?

იოაკიმე (მიტანებით) შემოვიდეს, შემოვიდეს, რას ამბობ, რაღა კითხვა გინდა (გოგო გავა) ნეტავი იმ დღეს, ამ ბრიუვისახარმა რომ ერთის ლეკის ქალთან მიმიყვანა, საქვეყნო ქალთან, რომელიც გაციებით მოკვდა საწყალი. მაშინ ჩემი ცოლშვილი ქართლში მყვანდნენ, თორემ ჩემი მხცოვანება, ამას როგორ მიჭქარავდა. ეჰ.

რა არ გადამხედია თავზედ, ათივე მცნება დამირღვევია, მაგრამ ამ ხუთის წლის სიქსტის მეხუთის შრომამ, ყოველივე მოატევებინა. გამიგონია ლიტერატურა კეთილი საქმეაო, თუ კეთილი საქმეა, მაშ ჩემი სიქსტი დამიფარავს ყველაფერს, უმეტესად ამისათვის, რომ გაუგონარის ენით არის დაწერილი.

## გამოსვლა 3.

იოაკიმე და ბეჟან.

ბეჟან. (შემოდის, ქართულად აცვია: თეთრის ახალუხით.) აბა იოაკიმე, როგორა ხარ ამ დილა ადრიან ერთ დაზათიან პროფერანსზედ. (სკამს მიიდგამს და მიუჯდება კრაოტს, რომელზედაც იოაკიმე წევს.)

იოაკიმე. რა პროფერანსისა მცხელა, წუხელის მთელი ღამე არა მძინებია, ისე შემაწუხა ამ წყეულმა ნიკრისის ქარმა, უჰ, დედავ! ეს რა წყეული სნეულებაა.

ბეჟან. შენ ხომ ჩვეულებათა გაქჳს, რაკი ქაღალდის თამაშობას დავიწყობთ, იმ წამსვე ტკივილები დაგეკარგება ხოლმე, მოდი ერთი ჴელ და ჴელ ჩამოვარიგოთ, თუ კარგათ არ შეიქნე, მაგრამ, ოჰ, ვაი შენს ბიჭს, აკი არ მავიწყდებოდა, შინამ ქაღალდს ჩამოვარიგებდეთ, ერთი კარგი რამ უნდა გითხრა, შენი და ჩემი სასარგებლო.

იოაკიმე (სიხარულით.) ჩემი სასარგებლო! თქჳ და რადა, ეგების ეს წყეული ჩემი მუჴრალა ჰაკიმი მაინც მოვიშორო,

ბეჟან. შენ იცნობ თუ არა წინდაძეს, აი იმ . შენ

რომ თვეში რვა მანეთის მწერალი იყავი და ის სუდიათ იყო, აი იმის შვილსა.

იოაკიმე. არა, არ მახსოვს!

ბეჟან. თუ არ უფრო შენა, მაშ ვის უნდა ახსოვდეს, ლუკმა პური რომ არა გქონდა, მამაშენმა, გახსოვს, ერთი რაღაც ცუდი რომ ჩაიდინე და, სახლიდგან გამოაგდო, და იმ ცხონებულმა სუდიამ რვა მანეთიანი ადგილი რომ მოგცა თავისთან, ღმერთმა უშველოს და, შეცვი ბევრს გამოვრჩი მაშინ, დღე არ გავიდოდა რომ სამუშამავლო ორიოდეს შაურს არ ჩამოვრჩომოდი.

იოაკიმე. ჭო, ვიცი, ვიცი, უჰ, ამ წყეულმა ფეხმა ლამის არ მამკლას, ისე მღრღნის, თითქოს თავგი შემძრომიაო. მერე, ახლა რა უნდა?

ბეჟან რა უნდა და, სამსახურითგან დაუთხოვნიათ, როგორ გაბედე შენს მეუფროსეს მაღალი ჩიტუშა ჭკადრეო ასე მოგახსენებთ, ოღონდ ერთი ადგილი მიშოვნოს სადმე და, ოც და ათ თუმანს მივართმეო

იოაკიმე (გაჯავრებით) არ მინდა! ჩემი საქმე არ არის, შენ ადვილი გგონია მეუფროსის გაჯავრება, რატომ არ იცი, კაცი დაბერებულხარ, რომ შენმა მეუფროსემ გითხრას, თეთრის ქაღალდისა შავიაო, შენც უნდა თავი დაუკრა, და უთხრა, დიახ შავი გახლავთო. დღეს მე რომ მაგას დავეხმარო, ხვალ ჩემ ხელქვეით მყოფნი, მე ტყავს გამაძრობენ, მაშინ ძალიან დაგიდევენ ჩემს აღმატებულებას. მერე ორი ასეთი გამოცვეთილი ჩინოვნიკები არიან ჩემს კანცელარიაში, რომ ერთი მიზეზის მიცემის მეტი კი არ უნდათ ამოსავარდნელი მწერლები არიან,

მირიანათ ამამაგდებენ!

ბეჟან. ჩემო იოაკიმე, ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ოც და ათის თუმანს ნუ ეჴუმრები ამ დროში, კარგი ლუკმაა!

იოაკიმე. არა ძმაო, არა, ეგ საშიში საქმეა, ღმერთი, რჯული, ხატი გამპენტამენ ბამბასავით, გამპენტამენ ძმაო, რათ გინდა ჩემი ცოდო. მერე ამისთანა ადაგს სად ჯანაბაში ვიშოვნი, ასე აი, როგორც მიყურებ, ვწევარ გულადმა, გადავბრუნდები, გადმოვბრუნდები, ვნებივრობ, განცხრომაში ვარ, შინადან კარში ფეხს არ გავდგამ და, თვეში ოცდა თხუთმეტ თუმნამდინ ჯამაგირი მომდის წყაროსავით პენცია არის, მაშ რა ეშმაკია!

ბეჟან ჩემო იოაკიმე, რასაც ამბობ მართალს, ძრიელ მართალს, მაგრამ ოც და ათი თუმანი, როგორც გინდა იფიქრე კარგი ფულია, მაგრამ რა გაეწყობა, შენი ნებაა. (სათამაშო ქაღალდს შლას დაუწყებს, რომელიც იქ სტოლზედ აწყვია და სტოლსაც იოაკიმესთან მისდგავს) უარს ვეტყვი, რადგან არ გინდა.

იოაკიმე (ცოტა ფიქრის შემდგომს) ჰა, ბეჟან, რას იტყვი? ვითომც გავურიგოთ? ჰა? ფულიც ნაღდია ხომ?

ბეჟან. ნაღდია მეთქი გეუბნები.

იოაკიმე. ნაღდია და გამოართვი! ვისი რა მეშინიან, შემიტყობენ, გამპენტამენ, მეც კარგათ გავპენტამ, განა მეკი არ ვიცი წერა, სადაც (მიაჴედებს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმულს რჯულისაკენ) რომ ამისთანა ქმნილება გადმოვთარგმნე, რა არ შემიძლიან. ვიზედ რა ნაკლები ვარ, ისეთის ენით დაუწერ პასუხს თუ ვინმე რამ გაბედა, რომ ქუა გახეთქოს და ვერავინ კი ვერა შეიტყოსრა. მაგ-

რამ ეს წყეული ნიკრისის ქარი რომ არ მეშვებს. ეჰ, ვაი, ვაი!

ბეჟან. მაგრამ ათი თუმანი ჩემის აი! იცოდე ეხლავ, ათი თუმანი!

იოაკიმე კარგათ იცი მე და შენი სული და ეშმაკის თავშიქვამესი ერთს გვამში დგას, ან მე რასა მკითხამ, ჩუენი დრო არის და, ვთალოთ ეს ქუეყანა. თუ ცოდვა იყოს ჩემი სულისა იყოს. თექვსმეტი კაცი გამისტუმრებია, ცოცხლათ ყელები დამიჭრია ხომ კარგათ იცი ძმაო ბეჟან, ზოგი შენის გულისათჳს, ზოგი საკუთრივ ჩემის ფანტაზიის სასიამოვნოთ, ახლა მეშვიდმეტეს ვისტუმრებ, ღუთის მადლით ოცს მალე შევასრულებ. (ამ დროს ცალთვალა გოგო შემოვა და მოახსენებს)

გამოსვლა 4.

ისინივე და ცალთვალა ბრიყვისახარ

ბრიყვისახარ თავშიქვამე გახლავთ შენი ჭირიმე (თავისთჳს.) ჩემი ჭირიც შენ და გვნესაც შენ. ოჰ, ღმერთო ნუ შეარჩენ ამ ჩემს უდიარობას (მაღლა.) რას მიბძანებთ ბატონო?

იოაკიმე. მოახსენე მობძანდეს. (ბეჟანს) ესეც ჩუენი გულითადი მეგობარი, ეს გვაკლდა და ესეც აქ არის, ახლა შეგვიძლიან უფრო მკჳდრათ ლაპარაკი.

ბრიყვისახარ (გადის და მიილაპარაკებს.) როგორც გაცია ეს ჩემი ბატონი, ისეც ღმერთს ჭირი მიუცია, გოგო ამისი მე ვარ, ლაქია, მეუა მავალი ხომ, საცა ვის მოისურვებს, ძაღლსავით მათრევს ამ სიბერის დროს,

მეორეს მხარეზედ გადაბრუნება კი აღარ შეუძლიან ამ ქოფაკს.

## გამოსვლა ვ.

ისინივე და თავშიქუაძე

თავშიქვაძე. აბა, ძმებო და მეგობრებო, როგორა ხართ, რას ჩადიხართ?

იოაკიმე რას უნდა ვჩადიოდეთ, ეს ქაღალდები წინ გვიწყვია და შენღა გვაკლიხარ რომ დავიწყოთ, ფული გვაკლდა და, ფულის ალაგსაც მივაგენით.

ბეჟან. შენ რაღას იტყვი ახალს თავშიქუაძე?

თავშიქუაძე მე ახალს ამას ვეტყვი ჩვენს იოაკიმეს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ქვეყანაში და შინ გინებივრობს, რომ თუ ეს ჩვენი მოლაყბე არ დავახრჩეთ და როგორმე არ მოვკალით, სულ ქვეყანაში თავებს დაგვჭრის, (იოაკიმე და ბეჟან პირს დააღებენ, განცვიფრებით) წერას ვინა ჩივის, ჩხაბოს რამდენიც უნდა, თავების მეტი ხომ არავინ წაიკითხავს, მაგრამ ძნელი ეს არის, სადაც დაჯდება, სადაც გაივლის, ვისაც შეხვდება, სულ შენს ჩირქებზედ ლაპარაკობს, იოაკიმეს მზემ მართალს გეუბნები, მე მართალი მიყვარს და სიმართლე უნდა გამოვაშკარავოთ, ვერ მოვითმენ თუ ბოროტება ვნახე და არ გამოვაშკარავე.

ბეჟან. დახე, წყეულს, დახე იმ ღვთის მტერს! . .

იოაკიმე (კბილების ღრჭენით) დამაცა, მე იმას ციბრუტივით ვატრიალებ, როგორ თუ . . . .

თავშიქუაძე (სიტყვას ართმევს) ეგ არაფერი, ერთს

აღაგს უკროდა მაღალის ხმით, ამისთანა ოხრობა გაგონილა ქუეყანაზედაო, შინადან კარში ფეხს არ გამოზდგამს თავის დღეში ეს ვიღაც იოაკიმეაო

იოკიმე (გაჯავრებით იმეორებს,) ვიღაც იოაკიმეაო!..

თავშიქუძე. თავის კანცელიარიის გზა არ იცის საითკენ არისო, დღე მუდამ ამთქნარებს, გადაბრუნდება, გადმობრუნდება, ზევრის ძილით თავით ფეხამდის გასიებულა. ტახტით გასუქებულა, და ჯამაგირს თვეში ოც და თხუთმეტ თუმნამდის იღებსო...

იოაკიმე. არ შერცხვება რომ ამას იქით კაცო, კანცელიარია არის რაღაც ჯანაბა.

ბეჟან (გაჯავრებით,) დაჰე იმ ამოსავარდნილს!..

თავშიქუძე. ეს კიდევ არაფერი, ეს ბატონია!.. (ჩუმათ ჩურჩულით,) ერთი ბრუციანი გოგო ჰყავს და დღე მუდამ სულა ქა იქ არჩენინებსო. ხომ მისჭდით რაზედაც უთქვამს? თმა კი გასთეთრებიაო.

იოაკიმე. (წამოხტება ქვეშაგებშივე,) ეგ კი მიუქარავს, სხვა რაც უუბედნია იმ დასამიწებელს მოლაყეს, კიდევ ჰო, დასაჯერებელია, მაგრამ ეგ კი აბა რა დასაჯერებელია, ფეხებს ძლივსღა ათრევს!...

თავშიქუძე ჰო, ესეც დამავიწყდა, სამნი მეგობრები შეყრილან, სამნივე კარტოჟნიკებიო, ღამის ქვეყანას დააქციონო, ყოველს კეთილს საქმეს წინ წასვლას უშლიანო, ზოროტებით და საზიზღარ მოქმედებით ღამის ქვეყანას აიკლონო.

ბეჟან. (ქაღალდებს იქით გადაჰყრის და წამოვარდება გაჯავრებული), ახლა რაღა ქაღალდის თამაშობის გვცხელა,

რა დროს ეს ანბავია, რას დავბრმავებულვართ? ეს სამნივე აქა ვართ შეყრილი და საზოგადოთ ერთი იმ გვარი რჩევა უნდა გავაკეთოთ, რომ მოლაყბე როგორმე ძირიანათ ამოვაგდოთ, ქჳეყანაზედ იმისი ხსენება მოვსპოთ, ერთის სიტყჳთ დავახრჩოთ, დავახრჩოთ! საქჳეყნოთ ჩამოვახრჩოთ!!!

იოაკიმე. დავახრჩოთ, ჩავკიროთ, ამოვაგდოთ ძირიანათ, მაგრამ ბიჭო, ეს კი დამავიწყდა, რომ ვყვირით დავახრჩოთო, ვინ უნდა დავახრჩოთ, ვინ ეშმაკი და ქაჯი, ვინ არის ის მოლაყბეა ვიღაცა რომ არ ვიცით, ან შენ რომ გადაწყვეტით ანბობ ბატონო თავშიქჳაძე, ქჳეყანაში თავებსა გვჭრისო, ჭორს ანბობ, სხვის ნათქჳამს თუ შენ თჳთან ნახე, როცა ყვიროდა?

თავშიქჳაძე (თავისთჳს,) აი სულელი, რომ ვანბობ გაგიჟდა მეთქი, დაბერდა და ჭკჳა გამოელია. აქამდინ ვფიქრობდით სჯულის წიგნები იცისო და დავთრები სულ არევია, თქჳნი რისხვა მქონდეს თუ იმის თავში იოტის ოდენი იდოსლა რამე (მაღლა,) რას ანბობ იოაკიმე, რას ბოდამ, ეშმაკმა იცის ვინ არის მოლაყბე, უჩინ მაჩინის ქუდი ხურავს თავზედ და ისეთს ალაგებში დატანტალებს, რომ სრულებით ვერავინ ვერას მიხჳდება, (აქეთ იქით იყურება) ვინ იცის, იქნება ახლაც აქა შავდებოდეს და ამ ჩჳნს ლაპარაკს სულ წვრილათა ჰკრეფდეს, შენი მტერი, რომ ხვალ სულ ქჳეყანად გამოფინოს.

იოაკიმე და ბეჟა, (აქეთ იქით შიშით იყურებიან). კაცო, გაჩუმდი თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, რა ვიცით მართალა (შეშინებით) ჰა, ბეჟან შენ რას იტყვი?

ბეჟან. მე იმას ვიტყვი, რომ შიშის დრო არ არის, მართლა ეშმაკი ხომ არ არის აქ იყოს, ანბობენ ისიც ჩვენსავით კაცია, არცარა ფრთები აქვს და არცარა ის ქუდი აქვს, უჩინმაჩინისას რომ ეძახიან.

იოაკიმე. მაშ ის ოჯახ ამოწყვეტილი, სულ ასე წვრილად როგორა ჭკრებს ჩვენს ნამოქმედარს.

თავშიქვამე. ეშმაკმა იცის და ქაჯმა.

(ესენი რომ ასე ლაპარაკობენ, ცალთვალა გოგოს შუმა შემოაქვს და ბუხარს ანთებს, თან ამათ ლაპარაკს ყურს უგდებს.)

ბეჟან. იოაკიმე! თუ შენც იტყვი მე ერთხელ მაქვს ეჭვ, უთუოთ ის უნდა იყოს მოლაყბე.

იოაკიმე. მამაცხონებულო და, თუ იცი რაღა დღისათჳს ინახავ, ხომ ხედავ ღამის ქუტუანაში ყელები დაგვჭრას. აღარ გინდათ რომ კარში თავი გაჰყოთ, მე რას მიყურებთ ძმაო, ხომ მიყურებთ სულ შინა ვგდივარ დასაქედან გარძანებლობ, ის დრო არის ახლა, პირველი შემწე, თუ მეუფროსე შემწე გყავს, ვინ დაემებს იქ სამართალს, მერე ჩემი მეუფროსე იმისთანა გეთილი კაცია, რომ რაც უნდა უთხრა იმ წამსვე გამიგონებს.

ბეჟან (ყურში წასჩურჩულებს ორივეს. რომ გოგომ არ გაიგონოს,)

იოაკიმე (გაშტერებით) თუ მართლა ის არის, — ახლა კი მე ვიცი, ამ სამს დღეში იმის ხსენებას მოვსპობ, რომ ჩვენში სრულებით იმისი სახელი გავანავლო.

ბრიყვისახარ. (თავისთჳს) ეს რა უბედური ხალხნი არიან, ამ სამივეს თავში ერთის ჭკუა არა ძევს, სად შე-

ვეყარე შენი ჭირიმე ამისთანა გიჟებს, დღე მუდამ შეიყურებიან და ასე ღამის ქჳყანა დააქციონ, კარტოჟნიკობით ხომ სულ დააქციეს თავიანთი სახლი.

თავშიქვამე, ჰკო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა, ესეც უთქვამს იმ უჩინარს მოლაყბეს, ის ოაკიმე არის ვიღაც, ერთს მოტანტალე დედაკაცს აჰყოლია, ფულები მოჰპარეს ჩემს შვილსაო და იოაკიმესაც რაღაც მტერობა ჰქონია იმ მართალ და უმანკო პირთან ვისაც აბრალებს ის დედაკაცი, კაი მიზეზირომ უპოვნია, ყოვლის ღონისძიებით ცდილობს ამ მართალის კაცის მოკვლასაო, რასაკვირველია მოქმედებით, თორემ ხანჯლის მოქნევა რა შენი საკადრისია, იმ პირობით კი, რასაც ფულებს გამოიტანენ იმ დედაკაცმა და იოაკიმემ უნდა შუაზედ დაიყონო.

იოაკიმე, (პირჯვარს იწერს.) აი დასწყევლა ღმერთმა, გულთმისანი ყოფილა? ვინ უთხრა იმ წყეულს აგრე წვრილათ. ლაპარაკს ჯანი წაუვიდეს, თუ ქჳყანაში არ გამოფინა. იმ ოჯახ დაქცეულს რა სწორეთ აუკრეფავს ეს საიდუმლოები.

ბეჟან. რაო იოაკიმე, რაზედ გადაგეკიდა ის წყეული ასე უწყალოდ?

იოაკიმე. რა ვიცი რაზედ გადაგეკიდა, ეშმაკმა იცის და ქაჯმა იმისი თავი, (ბუხარს რომ აანთებს გოგო გავა) თუ გადამეკიდა უთუოთ ამაზედ, რომ შემშურდა, ამ ყოვლად დიდებულის თხზულების სიქსტის მეხუთის გადმოთარგმნა, სხჳა რა მიზეზია, არ ვიცი ჭეშმარიტათა (გოგო შემოდის)

ბრიყვისახარ. (შეშინებით.) ბარაქალაძე გახლავთ ბატონო, ქაღალდები მოუტანია, საშური ქაღალდებიაო

იოაკიმე. (შეტევით) უთხარი ხვალ მოვიდეს, მაგის მეტი დარდი არა მაქჳს, საშური არა. ხვალ და ზეგკი, ვერ მოესწრობა (გოგო გავა)

ბეჟან. ეჰ, მამა ცხონებულო, შენც ამოგირჩევია რაღა, გიპოვნია, აღამამაღხანის დროს თხზულება, ერთხელ რომ წამიკითხე იმას არ ამბობ?

იოაკიმე დიახ, იმას, რაო არ კარგოდა თუ?

ბეჟან რატომ, რატომ, ისე კარგია, რომ მე სრულებით იქ ვერა გავიგერა

იოაკიმე კიდეც ეგ არის აბა აი, რომ ვერა გაიგერა. სიტყჳა ის არის, კარგი ის არის, რომ კაცმა ვერა გაგოსრა

თავშიქვაძე. დალოცვილო, თუკი მაგ სიქტისათჳს გადაგვმტერებია, რაღას დაეკიდნია კარაყიან ჩარჩოთი არა რაზედა გვღუპამ, ან ჩუჱნ, ან შენ ძვირფას თავს, ჩამოიღე ერთი მამა გიცხონდა და ჩააგდე აი იმ ბუხარში, მაინც ჩუჱნ არ გვესმის და ეგება შეიტყოს მოლაყბემ მაგისი დაწვა და კელი აიღოს.

იოაკიმე (განცჳფრებით,) რამ გაგაგიჟა კაცო, ეგ რამ გათქმევინა, ხუთის წლის შრომა, ეს ყოვლად ჩინებული და ყოვლად დიდებული, ცეცხლში ჩავაგდო, გაგიჟდი კაცო!!

ბეჟან ნუ დასწვავმ და, ჩუჱნი არა ბრალია, ისე საქმეს გაკვიკდის ის ოჯახ დასანგრევი მოლაყბე, რომ სულ ძირიანათ ამოგვაგდებს ამ ჩუჱნ ჩირქებს სულ საქჱწუ-

ნოთ გამოშლის.

იოაკიმე. (გაბედვით.) გამოშლის, მერე? მართლა იქნება გგონიათ შემეშინდა, გამოშლის და, ჯერ ერთი ხომ ასე მოვკლამ, თუ ის არის, ვისაც მეუბნებით, რომ ჩვენ კრებას გამოვასალმებ, მერე თუ გაბედა რამე, უჩივლებ და დავაკარგვინებ აქედგან. აღმატებულების პირზედ ვის რა შეუძლიან ოქვას. ვის რა შეუძლიან დასწეროს.

თავშიქვამე არა ჩემო იოაკიმე ტყვლათ წიწმატსაკით ნუ გაცხარდები, ადრინდელი დრო აღარ არის ახლა, ეს ხომ მიყურებ მდაბალი კაცი კარ, მაგრამ ბევრიკი მესმის. შენ რომ უჩივლებ, იმ მოლაყბეს, მაგის პასუხად იტყუ-ვის, მე იმაზედ არა დამიწერიარაო, თუ შენ იტყჳ, სტყუის სწორეთ ჩემზედ არისო, მაგის პასუხათაც ამას დაუმატებს; რადგან თავის თავზედ მიიღო ამდენი სამაგელდობა და ბოროტ მოქმედებაო და თჳთანვე ამტკი-ცებს თავისის სიტყჳთ, სწორეთ ჩემზედ არის, მე ვარო, ეგ დამტკიცდა; საზოგადოების და მთავრობის მავნებელი კაცი ყოფილხარ, ახლა შენ თჳთან იფიქრე იოაკიმე ჯან, ჩემო სულო, ჩემო კუჭო, მთავრობის მავნებელს და სა-ზოგადოების გამაჩირქიანებელს რა გადახდება კანონით? შენვე დაგსჯიან, მერე ჩვენ რაღა ვქნათ, ხომ დავობლ-დით უშენოთ, ვიღას ვეთამაშებით პრეფერანს, იერალაშს!

იოაკიმე კარგია თუ ღმერთი გრწამსთ, ვარმით გული ნუ გამისიეთ, (გოგოს უძახის,) ეი, გოგო! (გოგო შე-მოდის), იცი რა ბრიყვისახარ, მიირბინე იმ ჩვენს პუტ-რიკა ხაზინადართან, უთხარი ჩემს მაგიერ, ამ თვის ჯა-მაგირი, იმ თვისაც, მესამე თვისაც ხომ მიღებული მაქჳს-

თქო, და მერთხე თვისაც პირველად გამომიგზავნე თქო, (გოგო გავა, ამათ მოუბრუნდება,) ამ მწუხარე გულზედ ცოტა მაინც გადავკრა, მწუხარეს ძალიანა შველის ღვნო, არ გამამიგზავნის ჯამაგირს და სამს დღეზედ გავაქრობ იმის ხსენებას, როგორ შეუძლიან არ გამოგზავნოს, განონს ვინ უყურებს, სადაცა მსურს.

თავშიქჰამე. ჩვენ რას გეუბნებით, შენ რას პასუხს გვაძლევ, რაღროს ღვნოა, ჯერ ერთი ეს უმთავრესი საქმე უნდა გადავწყვიტოთ და მერე ამდენი სვი, მინამ გა შენი ნიკრისის ქარი ფეხებიდგან დაიძროდეს და კარში გამოჴყოფდეს თავსა!

იოაკიმე (ღონობს, არ იცის რა პასუხი მისცეს,) არ ვიცი შენმა მზემ, ეს ხუთის წლის შრომა? . . .

ბეჟან შენ ხუთის წლის შრომასა სჩივი და იმას კი აღარა ფიქრობ, რომ კარში თავებს ვეღარ გავყობთ, კაცო გაიგე რას გეუბნებით, კარში თავებს ვეღარ გავყოფთ მეთქი! . . .

იოაკიმე კაცო, რას ჩამაცივდით, იქნება ამაზედ არ გადამეკიდა, მე გადავეკიდე მარტიალეია, მაგრამ იმას კი არ გადავკიდებივარ, სხვას ვიღასაც, რომელსაც წითელის კარანდაშით რეზოლიუცია დაუწერია ზედ და ეს უმზგავსო საქმე გაუბედნია.

თავშიქჰამე· თუ მწერლობაზედ თავსა სდებ, ისიც მწერალეია,—მწერალი მწერალის მტერია,—მგონია ასე უნდა იყოს, იცი რომლის მტერი, რომელიც ენას ახდენს და მწერლობას აფუჭებს.—

იოაკიმე. მერე, მე ხომ ენა არ წამიხდენია, უფრო

ჩამიკვეთებია, გამიმშჳენიერებია, თარგმანის დროს მადჭილით შემინელებია, მაგრამ რადგანაც ჩამცივებიხართ, ჰა, ჯანი წაგივიდეთ, თუ მაგითი ამდენი სული დავისხნებით, ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი

ბეჟან. (ავა კრაოტზედ და წყნარა ჩამოიღებს, კარაყიან ჩარჩოში ჩასმულს რვეულს,) ჰა, დამიჭი თავშიქჳაძევ!

თავშიქჳაძე. (ჩამოართმევს და ბუხრისაკენ მიაქჳს,) აფუსუსი კია მე და ჩემმა ღმერთმა!

იოაკიმე (ამოიოხრებს ღრმად,) მოიცადეთ, მოიცადეთ! ერთი კიდევ დამანახვეთ, კაი შენ ჩემო ხუთის წლის შრომავ! კაი შენი ბრალი ბარაქალამე. რომ ტუკლათ დაიტანჯე! მაგრამ იმ ოჯახ ქორს ცუდი კელი ჰქონია, რომ ასე დასრულდა ამ ყოვლად მშჳენიერის ქმნილების ხვედრი, (თავშიქჳაძემ რომ უნდა შეაგდოს ბუხარში, იოაკიმე დაუყვირებს,) კაცო რასა შვრები, რა ღმერთი გაუწყრა შენ ცოდოს, ამოიღე ჩარჩოდგან და ისე შეაგდე, არ გეაფუსუსება ეგ ჩარჩო კარაყიანი მაინც!

თივშიქჳაძე. ჩარჩოც ამ თხზულებისაგან წამხდარა, დამპალი საქონელი, კარგს საქონელსაც წაახდენს, ესეც იმასთან იყოს, (შეისჳრის ბუხარში და რომ აპრიალდება, იოაკიმე ამოხჳრით.)

იოაკიმე, ეგრემც დანავლებულა მოლაყბის სახელი, ეგრემც გამოჰკლებია ჩჳენს საზოგადოებას, ეგემც! . . .

ბეჟან და თავშიქჳაძე ამინ! ამინ!

(ფარდა დაეშვება.)

მოლაყბე.

(იხილე მეორე გვერდზე.)

აბა ჩემო ქართჳელებო, ჯერ ისევ ორიოდე სიტყჳა კიდევ უნდა მოგახსენოთ ამ სამწუხარო გომბდიის ბოლოს — ყოველს ბოროტებას, სამწუხაროს ვეძახი, — შემდგომს ნომერში იქნება, მეორე მოქმედება, რომელშიაც უფრო ვეცდები ნათლად გამოვხატო ამ მოქმედ პირთ ხასიათები, უმეტესად იოაკიმესი და დიდი ვნებითი გავლენა ჩუჱნ საწყალ საზოგადოებაზედ, თუ უფ. რედაქტორმა დამიბეჭდა, ამას ხასიეთათ სჭირს, რაც რამ ნათლათ და ცხადად არის არ მიბეჭდავს და უკან თავში მარტყავს, მეუბნება ზოგი ერთ პირთ ეწყინებაო, მოდი და აქ გააგეთე რამე, ერთი მიბძანეთ, მაშ როგორ გავიმართოთ ცუდი ზნე, მავნებელი პირები როგორ მოვიშოროთ? — ამ ჩემ. ს დაუბოსით, რომელიცა არის სწორე და გულწრფელებითი, ვერას გავაწყობ? — ჩემს გულს და ჩემისთანათ დაჩაგრულთ ხომ ვანუგეშებ. სწორე და მართალს კაცს ყოველი სდევნის. ეს ცხადი საქმეა, — მაგრამ ესეც ცხადია, მართალს კაცს არა თუ ყოველივე მომაკვდავი მიაჩნია მტრათ, იმისი ძრიელი მტერი ყოველივე ქჳეყნიერი ბოროტებაა რამდენი ვიცით ჩუჱნს ცოდვილს ქჳეყანაში, რაცკი რამ ბოროტება დაიბადება ხმელეთზედ, ყველა ხელითგან გამოუვა. იმას სრულებით აღარა აქჳს გამოხატული, რომ დღეს არის თუ ხვალ უნდა მოკვდეს, დღეს არის თუ ხვალ უნდა გამოაკლდეს ამ წუთი სოფელს, სადაცა კაცს არა დარჩება რა სახელის მეტი, — მამულს გაჰყიდის ცალფულზედ, თავის თანამოძმეს ქართველს დაჰკლავს, როგორც ერთს უბრალო ბატკანს, ქართულს, თავის მამაპაპურს ენას სდევნის და ყოვლის ღონისძიებით ცდილობს ამოაგდოს

ძირიანათ, სადაც ცხადად ვერას გახდება, იქ დაფარულად ისჯება, ზოგი ხალხსაც ატყუებს და თარგმნის რაღაც სულელობას. ენის ამოგდება არ არის თქვენი ჭირიმე მაშ რა არის; «მასყამსა შინა, დასავლეთის კურძულსა ზედან რონინებდა კაცი ერთი როჭიკით . . » და სხ. ამისთანა მწერლების მონათვხეკარს რა კრიტიკა არგებს, ამას უნდა სხვა გვარად დევნა, რომ ქვების კელი აიღოს და ღვარძლი არ შემოიტანოს ჩვენს სუფთა ენაში. ამისთანა მთარგმნელებს ჩვენ ის ურჩიოთ, კელი აიღონ თავიანთ საძაგელს ხასიათებზედ, ეს უფრო დიდი დავალება იქნება ჩვენთვის, ვიდრე იმათი ხუთი და ექვსი წელიწადი უბრალოდ თავის მტვრევა. ნახვამდის ბატონო დარბაისელო ქართველო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ იქნება კიდევ მიხილოთ შემდგომის თვის «ცისკარში.» თუ რედაქტორმა კიდევ არ მიღალატა , და დამიბეჭდა.

მოლაყბე.

**1864** წელსა
აპრილის **1**—სა.

# ქეიფი ლოთებისა, მტკვრის პირზე.

დავმსხდოთ ბაიათები,
ერთად შევყრილვართ ლოთებო,
ვისაცა აქვს ბევრი ფული,
რათ ექნება ჩუენებრ გული.
ქეიფია, ქეიფია სულის ჭირიმე.
ასე არ არის ძმაოჯან, შენი ჭირიმე?
რათ გვინდა ჩინი, დიდება,
თუ ჯავრით გული გვიკვდება,
ჩუენი ფიქრი სულ ის არი,
ვიყოთ მუდამ ლხინით მთვრალი!
ქეიფია მაშ რა არის სულის ჭირიმე.
ეს სჯობია ყველასა შენი ჭირიმე!
გეო შბდე შენ ჩანგალი,
გაებას ლოქო ახალი!
აქ მამხედე ნუხარ ცეტი,
რა შეგვრჩება ამის მეტი.
ქეიფია მაშ რა არი სულის ჭირიმე,
ჭიმს გასჭიმავს ბაღდასარა, შენი ჭირიმე
აგერ გაება ფართხალობს,
ჩუენ ყოველთვის ღმერთი გვწყალობს,
მგონებ რომ იყოს ჭანარი,
ძმაოჯან აიღე თარი,
ქეიფია მაშ რა არის სულის ჭირიმე,
ცეცხლი აანთე სტეფანჯან, შენი ჭირიმე,

იშლება კელოცახოცები,
ზედ პური, მწვანილი, მოთალი,
თევზები ახალ ახალი,
მოუსხდებიან ლოთები,
ქეიფია, ქეიფია სულის ჭირიმე,
ასწი მუხამბაზს მიკოჯან, შენი ჭირიმე.
ის ვინ მოჩანს იქით ნაპირს,
ის საწყალი, რა რიგათ ჰსტირს,
ეტყობა რომ საყვარელი,
დაუკარგავს თვისი მწყელი,
ეგეც ერთი ქეიფია, სულის ჭირიმე,
ვინა ხარ რისათჳს სტირი შენი ჭირიმე.
აგერ ადგა, წყლის პირს დადის,
გით შაშლილი, ადის ჩადის,
აი, ახლა, რა რიგ მღერის,
თავის ბედსა მტკვარს დამღერის,
ქეიფია მაშ რა არის სულის ჭირიმე,
ვინა ხარ შაგვატყობინე, შენი ჭირიმე.
«ნაზირის ბაღთან ვიჯექი,
«საყვარელი გვერდით მეგდო,
«დავხაროდი მას დავტრფოდი,
«უეცრათ ცეცხლი მამედო,
ქეიფია, ქეიფია სულის ჭირიმე,
წვრილათ გვიანბე რა იყო შენი ჭირიმე,
«ორჯელ, სამჯერ, გახელ პირი,
«მის სიტკბოსა ასე ვსტირი,
«უეცრათ ვინღაც წარმტაცა

«და გულს სევდა უცებ დამცა,
ქეიფია, ქეიფია სულის ჭირიმე,
რატომ არ უფთხილდებოდი შენი ჭირიმე,
«რა მივხედე აღარ იყო,
«ჩემო გეო, ჩემო მიკო,
«თავსა პირში წავიშინე
«შემდეგ ვეღარ დავიძინე,
ქეიფია, ქეიფია, სულის ჭირიმე,
მერე რა იყო გვიანზე შენი ჭირიმე.
«გამოვქანდი მტკვრის პირ-პირა.
«იქნება სადმე ჩამირა,
«იქნება წყლისა ტალღამა,
«მანდ თქჳენკენ სადმე ჩაჩქეფმა,
ქეიფია ქეიფია სულის ჭირიმე,
მოდით მოვნახოთ ღოთებო თქჳენი ჭირიმე,
«ჩემს გულს ჩემს სიცოცხლეშია
«ის უყჳარდა მხოლოთ ერთი,
«ის ვიშოვე ამ სოფელში,
«დავჰკარგე გამიწყრა ღმერთი,
ქეიფია მაშ რა არის სულის ჭირიმე,
სახელი გვითხარ რა ერქჳა შენი ჭირიმე.
«ის მიყჳარდა როგორც სული,
«როგორც ჩემი თაიგული,
«მაგონდება ვიტანჯები,
«მომინახეთ თუ ხართ ძმები,
ქეიფია, ქეიფია სულის ჭირიმე
აბა ღოთებო მოვნახოთ თქჳენი ჭირიმე,

გაშიშვლდნენ ცურვით მიდიან,
დაეძებენ მას ტურფასა,
ნაზირის ბაღის პირდაპირ
იპოვნიან ტიკჭორასა.
მახლას სწორეთ ქეიფია სულის ჭირიმე,
მოგვილოცავს რომ ვიპოვეთ შენი ჭირიმე.
კამარით ცურვით მოდიან
თან ბაიათს დასძახიან.
იცინიან, შაჰხარიან
ყირამალა გადადიან.
ქეიფია მაშ რა არის სულის ჭირიმე
ნუგეშინიან ძმობილო შენი ჭირიმე,
მყის მოუსხდნენ სუფრის წვერსა,
კამპანია ზედ დაჰმღერსა,
ოჰ. უყურეთ ღჳნის ფერსა
ვენაცვალეთ შენს გამჩენსა,
ქეიფია, ქეიფია, სულის ჭირიმე
მოდი შენც ჩვენთან დაჯექი შენი ჭირიმე.
აი ჩვენი მოტირალი,
ძლივს შეიქნა მოცინარი,
არ შაჰხედა არვის სხვასა,
მოეხვია ტინჭორასა,
ქეიფი მაშ რასა ჰქჳან შენი ჭირიმე
საყვარელი როს მიპოვეთ თქვენი ჭირიმე . . .

დიმ. ბერიევი.

1865 წელსა.

# ხალხი და სიმდიდრე.

მრავალი საუკუნოები გამოუვლია ჩუენს მამულს და ამ საუკუნოების განმავლობის შემდეგ დრო აღარ არის გახსენოთ ამის ახალ მოშენება და უმაწყლური გამოუცდელობა, სასაცილოა ის მოხუცებული, რომელიც, წინააღმდეგ თავის წლოვანებისა, ჰცდილობს რაცკი შეუძლია დაიკლოს თავისი წლოვანება და აჩვენოს თავისი თავი უმაწყლად, მაგრამ უმეტეს სასაცილოა ის ხალხი, რომელსაც თავისი თავი მიაჩნია აგრეთვე უმაწყლად ანუ ახალ მოშენეთ, წინააღმდეგ ისტორიისა, რომელიც ცხადათ მოგვითხრობს დროსა ხალხის დაარსებობისასა დრო არსებობისა სიცოცხლისა შეჰკრებს გამოცდილებათა; უჩუენებს იმ ცხოვრების გზასა, რომელზედაც უნდა იდიეს გა[illegible], აგრეთვე მთელი ხალხი. საკმაო დრო არსებობისა გაუტარებია ჩუენს მამულსა და ამის შემდგომ მგონია, დრო იყოს ვსთქუათ, რომ გამოცდილებები წარსულთ საუკუნეებთაგან შეძინებულები და შეკრებილები არ დარჩენილან ამაოდ, უსარგებლოდ და ამის ძალით ამაშიაც, თუმცა დიახ გვიან, გაუღვიძნია გრძნობელობასა ამის ღონისა და შეძლებისასა.

საიდამა ჰსჩანს ანუ სად არის ნიშანი ჩუენის ხალხის

გაღვიძებისა და რომელი ჰაზრი და ფაკტი ჰმოწმობენ ამაზედ? აი საგანი, რომელზედაც უნდა, საყვარელნო მკითხველებო, მოვილაპარაკოთ და რომლის განმარტება მიგვიყვანს იმ ცხოვრების მიჯნაზედ, რომელზედაც ჰსდგას ეხლა ჩჳენი ხალხი და შეგვატყობინებს რომელი ალაგი ცხოვრებისა უჭირამს სხჳა ხალხთა შორის.

ნიშანი ჩჳენის ხალხის, გაღვიძებისა, ჰაზრი, რომელიც გვიმტკიცებს ამას არ არის დაფარული თითონ დრომ, ცხოვრებამ დაჰბადა და გამოაჩინა ეს ნიშანი. ეს ჰაზრი არის ფიქრი ხალხზედ, რომელიც იყო დავიწყებული და შევიწროებული მრავალ საუკუნოების განმავლობაში, ხალხზედ, არა როგორც სამეფოს დაარსების მასალაზედ, არამედ ამის ცხოვრების მნიშჳნელობაზედ; საზოგადო მოქმედების მიზეზის ძალაზედ და ჭეშმარიტის მყოფობის ჰაზრზედ. დამამტკიცებელი ფაკტი ამ ფიქრისა. ხალხზედ არის განთავისუფლება გლეხკაცებისა მებატონეებისაგან, საქმე საზოგადოთ მიღებული, როგორც აუცილებელი საჭიროება დროებისა და რომლის ცვლილებით უნდა შევიდეთ ახალს ცხოვრების სფერაში კერძოობით და მთავრობის მოქმედობითა.

ხალხის გაღვიძების ნიშანი ჰსჩანს აგრეთვე ჩჳენს ლიტერატურაში, სამსეს ახალის ძალით და ზნეობით, ლიტერატურაში, რომელიც მოგვითხრობს მრავალს ნიშნებს ხალხის მღვიძარეობისასა, თუმცა ამის გამომთქმელი ორგანი არ არის მრავალ მიზეზებით კეთილ მდგომარეობაში.

მაგრამ ამ სანუგეშო ნიშნებთა შორის მრავალი გადა-

აუწყვეტელი და გაუგებელი საგნები დაგვხვდებიან ჩჳენ ჰსჯაში, მოქმედებაში და, ამათი გაგება და გადაწყვეტა მხო-ლოდ მაშინ შაგვიძლია როცა მივცემთ ანგარიშს ჩჳენს თავს როგორც ჩჳენს სურვილზედ, რომლისადმი მივილტვით, აგრეთვე ჩჳენს სიტყვებზედ, ამიტომ რომ ჯერკიდევ ჩჳე-ულება არა გვაქჳს შევიძინოთ საფუძვლიანი ცნობები და მოქმედებები, რომელთაც ჩჳენ ვხმარობთ.

მრავალნი არიან, მაგალითებრ, რომელნიც ლაპარაკობენ ხალხზედ, მაშასადამე თავიანთ თავზედ, და თავიანთ ბუ-ნებაზედ, მაგრამ აძლევენ ანგარიშს თავიანთ საუბარზედ? მრავალნი დამდგარან ამ საღმთო სიტყვაზედა, რომელიც შეადგენს ძჳრფასს საუნჯეს კაცისათჳს ქჳეყანაზედ, ესე იგი ამის სახლობას, სარწმუნოებას, ცნობებს, ნივთიერ შემძლებას, შრომას და ცოდნას? საუბედუროთ, არა. მაგ-რამ, წინააღმდეგ ამისა, ამაზედ უადვილესიკი არა არის, რომ კაცმა აქედამ დაიწყოს პროცესი თავის შეგნებისა და თავის თავის წარმატებისა! უხალხოთ და ხალხის გა-რეთ კაცისათჳს ყოვლად შაუძლებელია რომელიმე წარმა-ტება, ღირსეული კაცობრიობით ცხოვრება.

ესრეთ, რა არის ხალხი? რაში მდგომარეობს ამისი სული და არსება? იმათში, რომელნიც არიან წარჩინებულნი, ჩამომავლობით და ნიჭიერებით და ატრიალებენ თავიანთ შემამულეთ ბედისწერასა და მზრუნველობენ იმათ საზოგადო სარგებლობაზედ? იმათში, რომელნიც არიან ერთის სარწმ-უნოებისანი აზრისანი და ჩამომავლობისანი? იმ საზოგადო-ობაში, რომელნიც იწოდებიან კეთილშობილად, ესე იგი განათლებულ მცირედ რიცხვზედ? არა, ათასჯერ არა. ხალხი

შესდგება ყველასაგან, ვინცკი ჰცხოვრებს იმ მხარეს—განურჩეველად სახელ წოდებისა, შეძლებისა, ჩამომავლობისა, სარწმუნოებისა და განათლებისა. ხალხს შეადგენს ყოველი ცხოველი და გონიერი, რაცკი ჰცხოვრებს სამეფოში და შემოაქჳსთ მამულში თავიანთი სურვილი, შეძლება, შრომა, ჭკუა, მწუხარება და სიამოვნება. ხალხი არის შეერთებულება პირთა, რომელნიც ჰცხოვრებენ ერთს მთავრობის და ერთს სამოქალაქო დაწესებულ კავშირ ქჳეშა, ერთი ერთმანეთთან კანონით თანასწორენი და ამ კავშირის დაცვას და დამტკიცებას ჰსცდილობენ ყველანი ერთის ძალით და ღონით, ამ გჳარი შეერთება პირთა შემთხვევითი ანუ დროებითი არ არის, იმ სამეფოში, სადაც წესი და კანონი ცხოვრებისა დაწესებულა სამუდამოთ, იქ ყოველი წევრი შეერთებულია ხალხთან ცოცხალის კავშირით, რომელიც ადებს სახალხო ცხოვრების მომდინარეობას, მთელს საუკუნოებს თავის ისტორიულ ბეჭედსა. შეიძლება მეცადინეობა ამ კავშირის დარღვევისათჳს, მაგრამ ნამდჳლი დარღვევა, სანამ უდგია სული და მოქმედება, ყოვლად შეუძლებელია. აი მიზეზი, რომელიც განძრიელებულ ხალხში, ყოველი მეცადინეობა პოლიტიკურის და სამოქალაქო განყოფისათჳს მიიქცევა მტერად და მთელი ხალხი თავის ინსტიკტის ძალით დაიცავს თავის წესსა, თუმცა იქნება არა განჩინებულსა, მაგრამ თავის წინარე ისტორიულს ცხოვრებით შემუშავებულსა. აი აგრეთვე მიზეზი, რომელიც ყოველი წესგარეთი მდგომარეობა ხალხისა, ყოველი ვნებით სახალხოთ წესდებულება გარყვნის მთელს საზოგადოებასა და

შესწევნის ამის განყოფასა.

როცა დავემყარებით ამ აზრსა, მაშინ ცხადად გავიგებთ, რომ მცირედი შეურაცხება, მცირედი ზიანის მიცემა ერთის რომელსამე ჩვენგანისადმი, შეადგენს საერთო ჩვენს შეურაცხებას და ზიანსა ისრეთ, როგორც კაცის სხეულში სნეულება და ტკივილი რომელიმე სხეულის ნაწილისა შეადგენს მთელს სხეულის სნეულებასა და ტკივილსა. ეს ტყუილი ფრაზი არ არის, ანუ მოქმედობა ჩვენის წარმოდგენისა, ნამდვილს საქმე და ჭეშმარიტებაა. პირველ მიხედვაში მართალია ვერა ვცნობთ, რომ ამისთანა კავშირი ჰსდევს სახალხო კეთილმდგომარეობის და ცუდის ყოფა ქცევის ანუ მდაბალის ხალხის დაჩაგვრასა შორის; მაგრამ წინააღმდეგ ამის, თჳთეული უკანონო გამოჩენება ძალისა ცხადათ ჰსჩანს საზოგადოებაში.

საჭირო არ არის მგონია ვახსენოთ, რომ ნებაყოფლობა საცა უნდა იყოს დამკვდრებული, დაარღვევს ჯეროვან მოძრაობასა საგნებისასა, წარმოადგენს უსაფუძვლობასა და წინააღმდეგობასა ერთი ერთმანერთთან; რომ სხვის უფლების დარღვევა შეიქნება საკნებელ ჩვეულებად და მისცემს მხოლოდ უფლებასა თავიზედ ძალასა; საჭირო არ არის აგრეთვე ვახსენოთ, რომ უსამართლოდ და უსაფუძვლოდ შეურაცყოფა დასადებს ბოროტებასა შეურაცყოფაში და ამცირებს შეურაცხმყოფელსა, — მაგრამ უნდა კი შევნიშნოთ და ვსთქვათ, რომ დაჩაგვრა ვისიმე და თჳთ ბუნება განყოფს გონების და ზნეობის ძალასა მთელს ხალხისასა, მოაკლებს ჭეშმარიტს ღირსებასა და ერთმანერთის უშიშროებას, და დაარღვევს იმ სამღრთო კავშირს, რომელიც უნდა იყოს საზოგადობის წევრთა შო-

რის ანუ ხალხში აი მიზეზი, რომელთაგანაც იმ ქჳეყანაში, სადაც თჳთ ნებობით ჰსცემენ უმაწჳლებს, ცოლებს და მოსამსახურეებს, თჳთეული პირი საზოგადოობისა და წოდებისა იქმნებიან ხოლმე უკანონოდ და უსინიდისოდ დარბეულნი, დამცირებულნი და პატივ მოხდილნი და, ამაზედ ისე შეჩჳეულნი არიან, რომ, თითქმის, ამ შეურაცხობას არა გრძნობენ საკმაოს ძალად და არცა წინააღმდეგობენ ამაზედ, რადგანაც უკანონობა და შეურაცხყოფა ყველასათჳს არის ჩვეულებითი საქმე და მიღებული ყველასაგან.

ამ გვარ საზოგადოობაში ანუ ხალხში, უეჭჳელია, რომ არასოდეს არა აქჳს ჭეშმარიტება და პატივისცემა, სადაც კაცს არა აქჳს სინიდისიანი სამართალი, იქ შეუძლებელია საკუთრება შრომისა. თჳთ მდგომარეობა, საჭირო პირობა ხალხის არსებობისა, შეუძლებელია იყოს იქ, სადაც არ არის კანონიერი ჰფარველობა და ამისაგამო, რასაკჳრველია, იქ განცხოველდება შეიწროება აღებმიცემობისა და მუშაობისა. ამ შემთხვევების ურთიერთ შორის კავშირი ისე მრიელია, რომ შეიძლება პირმოთნებით ვსთქჳათ, რომ წკეპლის ზუილი ანუ უსაბუთოთ და უკანოოთ დაჰსჯა კაცისა ისე სავნებელია ხალხის სიმდიდრისათჳს, როგორც ქარიშხალი, სეტყვა, მოსავლის მოუსვლელობა, ადრეული ყინვა და სხ.

ამისთჳს საერთო სურვილი და საგანი თჳთოეულისა საზოგადო ცხოვრებაში უნდა იყოს ურთი ერთობითი შეწევნა და მოხმარება ერთი ერთმანერთისა, ამაზედ რომ ყველას ჰქონდეს თჳთ მდგომარეობა და უშიშროება, გა-

ნურჩეველად პარტიისა, სარწმუნოებისა და სამოქალაქო მდგომარეობისა. «ცუდი ერისთჳს, ცუდის მეორესთჳს, მძიმე სოფლისათჳს, მძიმეა სოფლელისათჳს» აი რა უნდა ჰქონდეს გამოხატული გონებაში ყველა საზოგადოებასა, რომელიცკი გრძნობს თავის მნიშვნელობასა

თუ მდგომარეობა ანუ პიროვანი უშიშრობს დაბადების მეორეს საჭიროებასა, თჳნიერ რომლისა შეუძლებელია კეთილმდგომარეობა ხალხისა, ეს არის ერთმანერთის სარგებლობის დაახლოვება, საზოგადოობითი ამხანაგობა. აი იმ საზოგადოობას, რომელიც არა გრძნობს ამ აუცილებელს კანონსა და ფიქრობს წინააღმდეგათ ამისა მოიპოვოს თავის კეთილ მდგომარეობა გაცალკევებულის და განყოფის გზით, აშიტომ რომ განყოფა მოასწავებს დაშლასა. დაშლა სიკეთისა, ხოლო დაახლოვება სარგებლობისა, შეერთება ძალისა, სურვილისა შეადგენს ხალხში განსათლების პირველს პირობასა და განვრცელებასა მათ შორის ყოველ გვარ სიმდიდრესა, როგორც საკუთარსა, აგრეთვე ხალხისასა.

სიმდიდრე, როგორცა ვსთქვით, წარმოსდგება შრომის შეერთებითგან და გამოხილებითგან მაგრამ შეერთება შრომისა და გაფრთხილება შეუძლებელია იქ, სადაც არ არის თჳთ მდგომარეობა კაცისა და სამართალი საზოგადოებისა, იქ სადაც უფლობს თჳთ ნებობა, სადაც სუსტია ცხოველი კავშირი საზოგადოებისა, რომლისაგამო მუშაკობა შაიქნება უღონო და დაკარგნილი; იქ არას დროს არ გამოჩნდება მღჳარე მოქმედობა, მოგონება ანუ შეძინება რისამე, დაეცემა და დაერუვდება ხოლო;

მოტყუება და ძალადობა მიიღებს შრომაზედ მომატყუებულს ნაწილსა, რადგანაც ამით უფრო ადვილია იმათთვის შეძინება რისამე, უეჭველია რომ ამ გვარ ხალხის მდგომარეობაში შეუძლებელია საუნჯის მოგროვება და ფიქრი გაფრთხილებისა; საშიშარია შაძღებისა და გმაყოფილების გამოჩენა და ღრმათ ინერგება ბოროტისადმი მიდრეკილი ჩვეობა და სიზრიყვე.

შრომის შეერთების ძალა, მოქმედება და მნიშვნელობა სიმდიდრისათვის ცხადია, მაშასადამე ამაზედ უნდა იყოს დამყარებული და მიქცეული ყოველი ყურადღება, ვისაცკი სურს მიიღოს მონაწილეობა ხალხის კეთილმდგომარეობაში ეს მნიშვნელობა არ არის გარეგანი ანუ დროებითი: სამუდამოდ და ღრმად არის დანერგილი ბუნებაში და მოქმედობს არა მხოლოდ ნივთების წარმოებაზედ, არამედ ამის პირობაზედაც, რომელიც შეადგენს ფესვებს და საფუძველს ყოვლის ეკონომიურ გამოჩინებისას.

სიმდიდრე მხოლოდ ნივთებში არა მდგომარეობს, რომელთაც ვხმარობთ, არამედ ძალაშიაც, რომელიც შეეწევა იმით წარმოებასა, და ცოდნაშიც თვინიერ რომლის ყოვლად შეუძლებელია ჯეროვანი იმათი მოხმარება. წარმოება თვით ნივთებისა ანუ საგნებისა და ჩუქნება იმ საჭიროებისა, რომლისათვის არიან და უნდა იყვნენ. ამისთვის საჭიროა რომ ყველანი შეგროვდნენ ერთად, შეჰკრიბონ თავიანთი ძალა და ღონე, შრომა და ნიჭი, და მოქმედობდნენ თანახმათ ყოველ სასარგებლო საზოგადოობის საქმეში და წარმოებაში. ხოლო ეს შაიძლება აღსრულდეს მაშინ, როცა შრომა და მოქმედობა არის საერთო. «ერთის მერცხალის ჭიკჭიკი, ზაფხულს ვერ მოიყვანსო»

ამბობს მდაბიური ანდაზა, რომელშიაც ჰსჩანს მაღალი ჰაზრი საერთოთ, ერთმანერთის შემწეობისა, ნამდვილი და მტკიცე ნიშანი ყველა სასარგებლო საქმისა. ამისთანა ურთიერთშორის თანაშემწეობაზედ მოვიწვევთ სუყველას, ვინცკი სახალხო წარმოების ასპარეზზედ შრომობს, ვისთჳსაც ძვირფასია თავისი საკუთრება და ხალხის კეთილმდგომარეობა, ამიტომ რომ უამისოთ და უკავშიროთ ერთმანერთის სარგებლობისა შეუძლებელია ხალხის სიმდიდრე და კეთილად მოხმარება იმ ღონისძიებაების, რომელზედაც დაფუძნებულია საერთო სიმდიდრე და წარმატება ცხოვრებისა

ესრეთ შეაერთეთ თქჳენი ღონე და ძალა, დაახლოვდით ერთმანერთთან შრომის მოყვარენო, ნუ განაცდებთ თქჳენგან და ნურცა დაჩაგრავთ ნუცა პეტრიას, ნუცა დათიკას; მიაქციეთ იმათზედაც კაცობრიული ყურადღება: დასდეთ იმათ და თქჳენს შორის დაურღვეველი კავშირი; მიეცით ერთმანერთს მხარი და შემწეობა, თუ გსურთ ნამდვილი თქჳენის თავისა და საერთო სახალხო სიმდიდრე და კეთილმდგომარეობა, რომლისადმი უნდა ილტვოდეთ, მომეტებულად ეხლა, როდესაც თქჳენ თვალწინა და თქჳენის შემწეობით უნდა აღსრულდნენ მრავალნი ცვლილებები კანონებისა, ცხოვრებისა, ზნეობისა და განათლებისა.

ა. სავანელი.

# გაზაფხული.

მღივს, გაზაფხული! ყოველ სულდგმულმა აიდგა ენა,
ფრინველთ ჭიკჭიკით, მხიარულად დაიწყეს ფრენა,
მწვანე მანტია გადეფარათ ველთ მშვენიერი,
ყოველგან სუფევს მადლი რაღაც აქ ზეციერი;
ფოთოლთ ნიავთგან ტურფა რხევით შექნეს შრიალი,
მათ ხმას ბანს აძლევს დასატკბობლად წყაროთ ჩქრიალი;
ვარდნი ველურნი, გულთ საკლავად მოიცინებენ,
მათში ნაკადნი მოღიმერით მოციმციმებენ,
ყვავილნი სურნელთ, არე-მარეს სამოთ მოსდებენ,
ბულბულნი ერთობ გაგიჟებით მიჭყეფ-მოჭყეფენ! . . .
ოჰ, გაზაფხულო! როს შენი ჩრდილი მოახლოვდება,
ჩემი სიცოცხლე, ჩემი გული იმ დღით ახლდება,
ზამთრით ტანჯულნი, მოუთმენლივ მოგელით შენა,
და როს განგიცდით, გვავიწყდება ზამთარი ჩვენა,
შენშია ვსტკბები, ვსიამოვნებ და მაქვს განცხრომა,
მაგ შენს კალთას ქვეშ დამიღვრია მე ბევრჯელ გრძნობა,
განუშორებლივ, მწყურს, ვცხოვრებდე მარად შენთანა,
მაგრამ ვინ მისცა კაცსა, ბედი ეს, ამისთანა!
ბევრჯელ გიხილავს გაზაფხულო, კლდენი და ღრენი,
მაგრამა მე რა, რომ ჭკრებიან მსწრაფლ ჩემნი დღენი,
მეძნელება მე, რომ მოგშორდე, შენ მშვენიერსა,
ხვედრად მაქვს,—ჩავწვე უნდა ერთხელ სამარეს ბნელსა.
ერთხელ იკითხე,—შენსა ტრფიალს ეს ბედის წერა,
ესრედ უწყალოდ, შუბლსა ზედან რათ დაეწერა? . . .

ოჰ, გაზაფხულო, განაშვენე ჩემი მამული,
და დაუყენე დიდ ხნით ტანჯულს ტურფა ზაფხული,
და, სოფლის წერით ხვედრი ჩემი იყოს ჩანთქმული,
ოღონდ მამული იყოს მარად აღყვავებული!...

ი. კერესელიძე

12 აპრილს
1864 წელსა
ტფილისს.

---

თ. ალ. ორბელიანის ტრაღედიაში მოხსენებულია ირაკლის მოძღჳრად ზაქარია, — ზაქარია კი არა ყოფილა, ირაკლის მოძღჳრის სახელი ყოფილა გერმანე. გთხოვთ ასე წაიკითხოთ. რ. გ.

---

სია 1864 წლის «ცისკარზედ» ხელის მომწერთა:

ქუთაისში,

154. თ. მიხეილ თუმანოვი,
იენუქ ზალინოვი.

სიღნაღში,

ზაალ წინამძღვაროვი,
თ. ილია აბხაზი 2 წ.

თელავში,

თ. ტატო მაყაევი,
გნ. ნანო ჭავჭავაძისა.

ტფილისში.

161 სემენარიის მოწაფენი.

# სხუა და სხუა ანბავი:

1,—გაზაფხული. (ლექსი) ი. კერესელიძისა.—2 რედაქციის შენიშვნა.—3. სია 1864 წლის, რომელიც იბარებს «ცისკარს»

---

## 1 8 6 4 წლის

## «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით 7 მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1864. г. 14. Апреля.